ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali-Taoba

akhalitaoba.ge

გვ.3

დავით ქაცარავა: „არჩილ ტატუნაშვილს ხელები ჩაშავებული და დაგლეჯილი აქვს, აშკარაა წამების კვალი“

22 მარტიდან

180 ამბავი

ილია ჭავჭავაძე



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ხუთშაბათი, 22 მარტი, 2018 №68 (7613) ფასი: 50 თეთრი

საკუთარ სახლში მამუკა გამყრელიძის მძახალი, ბიზნესმენი ნუგზარ კახიძე მოკლეს

„ფოსტა მოიტანესო, ნუკრის დაუძახა დამხმარემ. მკვლელმა ამოიღო იარაღი. ნუკრი კარს ხურავდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, მკვლელი შეძვრა რაღაცნაირად და ესროლა“

გვ.2

„მიენიჭოს არჩილ ტატუნაშვილს საქართველოს გმირის წოდება“

გვ.2

ირაკლი კობახიძე: „დაისჯება ყველა, ვინც ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინა“

ემზარ კვიციანი: „სვანები გაეროსგან მოითხოვენ, რომ მკვიდრ მოსახლეობად აღიარონ“

გვ.4

გიგა ბოკერია: „ქართულ ოცნებას“ ჰგონია, რომ უკვე მოვედით ხელისუფლებაში“

სამართალი

შსს-მ ლადო სადღობელაშვილი დააკავა — მას 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება



11 წლის გოგონას გარდაცვალების საქმეზე დაკავებულ მძღოლს გირაო შეეფარდა

გვ.7

მელორ ვაჩნაძე დააკავეს

სუს-ის უფროსი გენერალ სერ გარი ჯონსონს შეხვდა



გვ.4

ეკონომიკა

გვ.6

ივა ჭყონია: „ღამის დისტრიბუცია წვრილი სავაჭრო ობიექტების ნაწილის დახურვას გამოიწვევს“

კალაძე: „მიკროავტობუსებში ფეხზე მდგომ მგზავრებზე რეგულაცია უნდა გამკაცრდეს“

გვ.5

გვ.6

მთავრობა სამშენებლო სექტორს ახალ რეგულაციას უმზადებს

ISSN 1987-9385

3 „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში შეყვანილ ადამიანებს ყველგან ყველაფერი შეეზღუდებათ“

4 სანდრო ბრეგაძე კლინიკიდან პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს

5 ხაჯიმბას „სახელმწიფოს“ ჩამოშლაში ადანაშაულებენ

8 ლავროვი პოსტიდან მიდის

„მიენიჭოს არჩილ ტატუნაშვილს საქართველოს გმირის წოდება“

ირაკლი კობახიძე: „დაისჯება ყველა, ვინც ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინა“

შორენა მარსაგიშვილი

ბევრი ტანჯვა-წვალების შემდეგ საქართველოს პარლამენტმა არჩილ ტატუნაშვილთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო. რეზოლუციას ნაციონალებმა და პატრიოტთა ალიანსმა არ დაუჭირა მხარი.

მართალია პატრიოტთა ალიანსი რეზოლუციას მხარს არ უჭერს, მაგრამ მისი ერთ-ერთი ლიდერი, ემზარ კვიციანი მიიჩნევს რომ საქართველომ არჩილ ტატუნაშვილს სათანადო პატივი უნდა მიაგოს.

– გახსოვთ, ალბათ, გატაცებები 1993-1994 წლების პერიოდში, ზუგდიდში. ხშირად ხდებოდა ეს. პარტიზანული ჯგუფებიც იყო საქართველოს მხრიდან და იყო აფხაზური მხრიდანაც. როგორც კი დათბებოდა ურთიერთობა აფხაზებსა და ქართველებს შორის, ეგრევე პარტიზანული მოქმედებები ხდებოდა ანუ არიან ადამიანები, რომლებიც დაინტერესებული არიან, არასოდეს არ შევრიგდეთ არც აფხაზებთან და არც ოსებთან. დაინტერესებული პირები იყვნენ როგორც რუსულ მხარეს, ისე ქართულ მხარესაც.

ტატუნაშვილი, ფაქტობრივად, შეეწირა ურთიერთობის დათბობას, ამიტომ მაქვს წინადადება, რომ არჩილ ტატუნაშვილს მიენიჭოს საქართველოს გმირის წოდება, – განაცხადა ემზარ კვიციანმა

მანვე ტატუნაშვილთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურს დააკისრა.

– პასუხისმგებლობა ტატუნაშვილის საქმესთან დაკავშირებით მთლიანად უსაფრთხოების სამსახურს უნდა დაეკისროს. ჯერ თვითონ ფაქტთან დაკავშირებით, თუ რატომ მოხდა ტატუნაშვილი მოწინააღმდეგის ხელში, რატომ არ იყო და არის დაცული ჩვენი მხარე, რომ ყოველდღე არ იქნენ გატაცებულნი ე.წ. საზღვრიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

მინდა, გავამახვილო ყურადღება იორდანიის დელეგაციაზე, რომელიც აფხაზეთში იყო ჩასული. ჩვენ გვაქვს კანონი ოკუპაციის შესახებ. როგორ იმოქმედებს ამ შემთხვევაში ეს კანონი და, საერთოდ, ხომ არ ვთხოვოთ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ მათაც შექმნან ასეთი კანონი, რომ დაგვიდგნენ გვერდში. რათა ჩვენმა კანონმა, რომელიც მარტო აფხაზებსა და ქართველებს უკრძალავს ერთმანეთთან მისვლას, რაღაცა ქმედითი ძალა შეიძინოს, – განაცხადა ემზარ კვიციანმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, არჩილ თალაკვაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირობა დადო, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა ყველა ის პირი გამოვლინდეს და პასუხისგებაში მიეცეს, რომელსაც არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალებაში ბრალი მიუძღვით.

– ჩვენ ამ ფაქტს აუცილებლად საფუძვლიანად გამოვიძიებთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დამნაშავეები გამოვლინდნენ და პასუხისგებაში მიეცნენ. ეს ძალიან მძიმე ფაქტია, თუმცა საქართველო მშვიდობიანი გზით, საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ბრძოლას გააგრძელებს იმისთვის, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს და მავთულხლართებით ხელოვნურად გაყოფილი საზოგადოება გაერთიანდეს, – განაცხადა თალაკვაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის თქმით, ქართული მხარე საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობით ფაქტის საფუძვლიან გამოძიებას ითხოვს.

ამის გარდა, თბილისი ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო მექანიზმების დაშვებასა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას ითხოვს.

– იმ ადამიანებს, რომლებიც, შესაძლოა, ბრალდებული ან მსჯავრდებული იყვნენ ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ საგამოძიებო ორგანოებმა ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ მტკიცებულებები იყოს მაქსიმალურად მოპოვებული, მოწმეები დაკითხულნი და ყველა იმ დარღვევის დოკუმენტირება მოხდეს, რასაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე აქვს ადგილი, – განაცხადა თალაკვაძემ.

რეზოლუციასთან დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი გამართა პარლამენტის სპიკერმა ირაკლი კობახიძემ.

მისი განცხადებით, პარლამენტის მიერ მიღებულ დოკუმენტში ასახულია მკაფიო ხედვა და მიდგომა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან და ისტორიული რეგიონების ოკუპაციასთან დაკავშირებით.

სპიკერი კმაყოფილია იმით, რომ ეს გადაწყვეტილება პარლამენტმა ფართო კონსენსუსით მიიღო.

– 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა ფართო კონსენსუსით მიიღო უმნიშვნელოვანესი რეზოლუცია რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის შესახებ.

ჩვენ რეზოლუციით კიდევ ერთხელ გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება და დავგმეთ: რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია, ჩვენი ისტორიული რეგიონების ფაქტობრივი ანექსია ისკენ გადადგმული ნაბიჯები, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის იზოლაცია და ე.წ. საზღვარზე ხელოვნური ბარიერების აღმართვა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა: ჩვენი მოქალაქეების – გიგა ოთხოზორიას და არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფა; ქართული სოფლების განადგურება, ქართული ეკლესიების დაზიანება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული კვალის წაშლის მცდელობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ბავშვებისთვის ქართულ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობის წართმევა; იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დარღვევა, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

არჩილ ტატუნაშვილთან დაკავშირებით მომზადებული პარლამენტის რეზოლუციის პროექტის მიხედვით, საქართველოს მთავრობამ 2018 წლის 15 ივნისამდე პარლამენტს უნდა წარუდგინოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეთა მკვლელობაში, გატაცებაში, წამებასა და არაჰუმანურ მოპყრობაში, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, აგრეთვე ამ დანაშაულთა დაფარვაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა სია – „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია“.

პარლამენტი მთავრობას მიმართავს, მიიღოს ზომები საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების მიერ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ დასახელებულ პირთა მიმართ ყველა შესაძლო შეზღუდვის, მათ შორის სავიზო, ქონებრივი და ფინანსური ტრანზაქციების განხორციელებასთან დაკავშირებული შეზღუდვების დასაწესებლად და სამართლის აღსრულების ხელშესაწყობად.

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას მიესალმა. ამის შესახებ განცხადება პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა ნაცვლიშვილმა გააკეთა, რომელიც აცხადებს, რომ პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია რუსეთის პოლიტიკასთან მიმართებაში ქვეყნის ერთიანობის მაჩვენებელია.

– ამ დიდმა ტრაგედიამ კიდევ ერთხელ გააერთიანა მთელი საზოგადოება და წარმოაჩინა რუსეთის სახე. რუსეთი არის ოკუპანტი. მისი პოლიტიკა უკვე ნათელია ყველასთვის როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. განსხვავება ფაქტობრივად არ არსებობს ტატუნაშვილის მკვლელობასა და იმ თავდასხმას შორის, რომელიც ახლახან დიდ ბრიტანეთში განხორციელდა. ეს კარგად გახდა ნათელი ჩვენი პარტნიორებისთვის, მათ შორის, ამაზე მუდმივად აკეთებდა აქცენტს საქართველოს პრეზიდენტი ბრიუსელსა და ვაშინგტონში უმაღლესი დონის შეხვედრებზე და, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია, რომ ამ სიტუაციაში ერთიანი ძალისხმევით, მათ შორის, საპარლამენტო ფორმატშიც დაფიქსირდა სახელმწიფოს პოზიცია ამ საკითხებთან მიმართებაში, – აღნიშნა ანა ნაცვლიშვილმა.

საკუთარ სახლში მამუკა გამყრელიძის მძახალი, ბიზნესმენი ნუგზარ კახიძე მოკლეს

„ფოსტა მოიტანესო, ნუკრის დაუძახა დამხმარემ. მკვლელმა ამოიღო იარაღი. ნუკრი კარს ხურავდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, მკვლელი შეძვრა რაღაცნაირად და ესროლა“

გუშინ თბილისში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე, ბიზნესმენი ნუგზარ კახიძე საკუთარ სახლში მოკლეს.

როგორც ახლობლები ამბობენ, 30 წლამდე ასაკის კაცი დღის პირველ ნახევარში, დაახლოებით 2 საათზე, ბიზნესმენის სახლში მივიდა, თქვა, რომ ბანკიდან იყო და წერილი უნდა გადაეცა.

მას შემდეგ, რაც დამხმარე ქალმა კარი გააღო, კაცმა სროლა დაიწყო. საყურადღებოა, რომ დამნაშავე ნიღბის გარეშე მოქმედებდა.

ნუგზარ კახიძეს 7-მდე ტყვია აქვს მოხვედრილი. დაჭრილია დამხმარე ქალიც, რომელიც სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად მე-9 საავადმყოფოში იყო გადაყვანილი. ქალი მოგვიანებით პოლიციაში დაკითხვაზე წაიყვანეს.

მოკლულის საცხოვრებელ კორპუსთან მისასვლელი გადაკეტილი იყო. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები იმყოფებოდნენ. შემთხვევის ადგილზე პროკურორიც მივიდა. ზვიად ფხაკაძემ მოკლე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ ყველა საჭირო სამსახური მუშაობს.

მოკლული ბიზნესმენის ცხედარი სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 108-ე და 236-ე მუხლებით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

როგორც გაირკვა, ნუგზარ კახიძე დიპლომატ მამუკა გამყრელიძის მძახალია.

– ფოსტა მოიტანესო, ნუკრის დაუძახა დამხმარემ. მკვლელმა ამოიღო იარაღი. ნუკრი კარს ხურავდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, მკვლელი შეძვრა რაღაცნაირად და ესროლა.

დამხმარე ქალი დაჭრილია. მკვლელს ტყვია აღარ ეყო, მას მხოლოდ ერთი ტყვია ესროლა, თუ არ ვცდები – ზურგში.

შეუძლებელია, ამ ადამიანს ვინმესთან ჰქონოდა კონფლიქტი. ასეთი მშვიდობიანი, მოწესრიგებული, წყნარი ადამიანი ძალიან ცოტაა. მოდის ადამიანი და შვიდ ტყვიას ესვრის. შეკვეთილი მკვლელობაა. ახალგაზრდა ბიჭი იყო. თვითმხილველები არიან. კამერებსაც, სავარაუდოდ, დაფიქსირებული ჰყავს, – განაცხადა მედიასთან მამუკა გამყრელიძემ.

ამ მკვლელობაზე მან სოციალურ ქსელშიც დაწერა:

„მძახალი მომიკლეს. საკუთარ ბინაში, დაქირავებულმა მკვლელმა შვიდი ტყვია ესროლა. ვეკიდებით გაგებით. ბატონ ბიძინასაც დღეგრძელობას ვუსურვებ“.

„ინტერპრესნიუსი“ გაესაუბრა გარდაცვლილის რძალს, თამარ გამყრელიძეს, რომელიც მოტივზე ვერ საუბრობს და აცხადებს, რომ გარდაცვლილს კონფლიქტი არ ჰქონია.

„ნიუპოსტი“ თვლის, რომ მკვლელობა, შესაძლოა, გარდაცვლილის ბიზნეს-ინტერესებს უკავშირდებოდეს. ნუგზარ კახიძე შპს „ვარკეთილი 96“-ის 15 პროცენტიანი წილის მფლობელი იყო. მისი ახლობელი იხსენებს, რომ სასტიკ მკვლელობამდე კომპანიაში წილების გადანაწილების პროცესი მიმდინარეობდა.

მეტიც, მისივე მონაყოლის მიხედვით, „ვარკეთილი 96“-ის მოწილეებს შორის სასამართლოში წილებთან დაკავშირებით დავაც კი მიმდინარეობს.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, სამართალდამცავებს ახალგაზრდა მამაკაცი იდენტიფიცირებული ჰყავთ, რადგან ის ნიღბის გარეშე გადაადგილდებოდა.

ასევე არაოფიციალური ინფორმაციით, მკვლელობის იარაღი ბრალდებულმა კორპუსის უკანა მხარეს დატოვა და ის პოლიციამ უკვე ამოიღო.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში შეყვანილ ადამიანებს ყველგან ყველაფერი შეეზღუდებათ“

ნათია ხურცილავა

დავით დარჩიაშვილი: „ივანიშვილი ორსახოვანი იანუსია, ესეც უნდა და ისიც უნდა“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის გრიგოლ ვაშაძის ინფორმაციით, მარტის ბოლოს ჟენევის მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე საქართველო რუსეთის მიმართ მთავარ მოთხოვნას – ძალის არგამოყენების ვალდებულებას მოხსნის. რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია და თუ ასე განვითარდა მოვლენები, რა შეიძლება ამას მოჰყვეს?

– ერთი, რუსეთს ძალიან უნდა და ძალიან აწყობს, რომ საქართველომ ჟენევის ფორმატზე, როგორც ასეთზე, უარი თქვას ან ეს ფორმატი გადაიხედოს მის სასარგებლოდ. რუსეთს უნდა აჩვენოს, რომ საქართველოს პრობლემა აქვს არა რუსეთთან, არამედ სეპარატისტებთან, ოსებთან და აფხაზებთან.

რაც შეეხება რუსეთის მხრიდან ძალის არგამოყენების პირობას, რომლის უარზეც შეიძლება იყოს საუბარი საქართველოს მხრიდან, ეს ჯერ თავისთავად დაასუსტებს ჟენევის ფორმატს და შემდეგ აზრსაც დაუკარგავს. თუმცა, შეიძლება ხელისუფლება რაღაცას თამაშობს, თან უარობდეს, თან არ უარობდეს, რეალურად რა ხდება, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ერთი, რაც რეალურად ვიცი, არის ის, რომ ქართულმა მხარემ ყოველთვის ხაზგასმით უნდა თქვას, მისი პრინციპული პოზიცია უნდა იყოს, რომ ჩვენ პრობლემა რუსეთთან გვაქვს, რომ ეს კონფლიქტი ქართულ-რუსულია და არა – ქართულ-ოსური ან ქართულ-აფხაზური.

რუსეთი 2008 წლის ომამდე მშვიდობისმყოფელის როლს კარგად ირგებდა, მაგრამ 2008 წლის მერე ამას წერტილი დაესვა. რუსეთმა ამ ომით ბრძოლის ველზე კი გაიმარჯვა, მაგრამ უზარმაზარი დანაკარგი მიიღო დიპლომატიურად, როდესაც ე.წ. მშვიდობისმყოფელის სტატუსი დაკარგა. ახლა, როდესაც რუსეთის მიმართ მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან ასეთი კრიტიკული დამოკიდებულებაა, მეტი შანსია, რომ რუსეთზე ზეწოლა გაგრძელდეს, მათ შორის საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის გამო.

ტერმინ „ოკუპაციას“ ჩვენს ტერიტორიებთან დაკავშირებით საერთაშორისო დონეზე სულ უფრო და უფრო ახსენებენ. ამ დროს, თუ ჩვენი ხელისუფლება დინების საწინააღმდეგოდ აპირებს ცურვას, მაშინ ეს იქნება ეროვნული ინტერესების საზიანო ნაბიჯი.

– როგორი უნდა იყოს ხელისუფლების პოლიტიკა თუნდაც ტატუნაშვილის ფაქტთან დაკავშირებით. უნდა გააგრძელოს საერთაშორისო დონეზე გამოძიება, უნდა ჩართოს საერთაშორისო ექსპერტები თუ ამას შეიძლება რუსეთის გაღიზიანება მოჰყვეს?

– რას ნიშნავს რუსეთის გაღიზიანება?! რუსეთი თუ იმსახურებს გაღიზიანებას, უნდა გაღიზიანდეს კიდეც. სხვა გზა, უბრალოდ, არ არის. რუსეთის წინააღმდეგ რეაგირება საერთაშორისო დონეზე არის საჭირო, სხვა რა დონეზე უნდა მოხდეს რეაგირება, არ ვიცი! ქუჩურ გარჩევას ხომ არ დავიწყებთ, ქურდებთან ხომ არ მივალთ?! დიახ, საერთაშორისო დონეზე უნდა მოხდეს ამ საქმის განხილვა, საერთაშორისო ექსპერტები უნდა ჩავრთოთ გამოძიების პროცესში.

ახლა მთავარია, ხელისუფლებამ მიხედოს იმას, რაზეც პარლამენტი შეთანხმდა, ვგულისხმობ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ ფორმირებას. მკვლელებისთვის, დამნაშავეებისთვის საჭიროა საერთაშორისო დონეზე სანქციების დაწესება. „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები, რომლებიც ამ სიტყვას აზრს უკარგავენ, იქედნურად ლაპარაკობდნენ, ამ ადამიანებს თუ საქართველოში ჯანდაცვის შესაძლებლობას არ მივცემთ, თითქოს დიდი ამბავიო. ჯანდაცვაზე კი არ არის საუბარი, საუბარია იმაზე, რომ ეს ადამიანები საერთაშორისო დონეზე გამოცხადდნენ ძებნილებად და მათზე რეაგირება იყოს ყველგან.

– აღსრულების მექანიზმი რამდენად იქნება ჩადებული ამ რეზოლუციაში?

– აღსრულების მექანიზმი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავეები იქნენ გამოვლენილნი და ამ ადამიანების სიით მივმართოთ მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ეს ადამიანები არიან ადამიანების მკვლელობაში ბრალდებულები. ამას თუ არ გააკეთებს ხელისუფლება, ე.ი. მას ამის აღსრულების ნება არ ექნება. ტექნიკურად ამ საქმის შესრულება რთული არ არის, შეუსრულებელი და შეუძლებელი ნამდვილად არ არის, თუ ამის ნება ექნება ხელისუფლებას.

– ბატონო დავით, „ქართული ოცნების“ წევრმა ნუკრი ქანთარიამ უმრავლესობის ლიდერს, თალაკვაძეს ასეთი ფრაზით მიმართა: „ხომ არ ფიქრობთ, რომ ჩვენს ამომრჩეველს შეიძლება გაუჭირდეს გარჩევა, სად მთავრდება ე.წ. „ევროპული საქართველო“ და სად იწყება „ქართული ოცნება“. რას უპასუხებთ?

– ეს კაცი ქარაგმებით მოლაპარაკეა და განასახიერებს „ქართული ოცნების“ ყველაზე უფრო კონსერვატიულ და არსით პროორუსულად განწყობილ ნაწილს. იქ, მის გარდა, ამ განწყობის სხვა ადამიანებიც არიან.

– არიან?

– დიახ, არიან ასეთებიც და არიან ისეთებიც, ვინც ასე არ ფიქრობს.

– „ოცნების“ გუნდში ამ ნაწილს, თუ ასეთები მართლაც არიან, აქვთ გავლენა თუ გავლენას კარგავენ?

– ჯერჯერობით ამ ნაწილის გავლენა უფრო მეტია, მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილს არ უნდა, დასავლეთის თვალში ასე გამოჩნდეს. ამიტომ, არის გარკვეული მანევრის საშუალება, მსგავსი დეკლარაციების მიღება, ასევე, ჯერ ნატოზე უარი არ გვითქვამს. თუმცა, რეალურად ეს ადამიანები ძალიან გავლენიანები არიან.

– როგორ?

– ეს ბიძინა ივანიშვილის ნებაა, რომ ამ ადამიანებს ჰქონდეთ გავლენა. თავად კი ორსახოვანი იანუსია, ესეც უნდა და ისიც უნდა. შესაბამისად, გარემოების მიხედვით მოქმედებს. ასეთი არის არსებული რეალობა.

რას ნიშნავს რუსეთის გაღიზიანება?! რუსეთი თუ იმსახურებს გაღიზიანებას, უნდა გაღიზიანდეს კიდეც. სხვა გზა, უბრალოდ, არ არის. რუსეთის წინააღმდეგ რეაგირება საერთაშორისო დონეზე არის საჭირო, სხვა რა დონეზე უნდა მოხდეს რეაგირება, არ ვიცი! ქუჩურ გარჩევას ხომ არ დავიწყებთ, ქურდებთან ხომ არ მივალთ?! დიახ, საერთაშორისო დონეზე უნდა მოხდეს ამ საქმის განხილვა, საერთაშორისო ექსპერტები უნდა ჩავრთოთ გამოძიების პროცესში.

„არჩილ ტატუნაშვილს ხელები ჩაშავებული და დაგლეჯილი აქვს, აშკარაა წამების კვალი“

ნონა ცაბაძე

დავით ქაცარავა: „რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკა უდრის ტოტალურ კრახს!“

„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო მოძრაობა „ძალა ერთობაშია“-ს ერთ-ერთი ლიდერი დავით ქაცარავა პასუხობს.

– ბატონო დავით, გასული დღე ყველასთვის მძიმე იყო. 26 დღის მერე, როგორც იქნა, რუსულმა მხარემ ცხედარი გადმოსცა ქართულ მხარეს. ეს დღე თქვენ ტატუნაშვილის ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ. მოგეცათ საშუალება გვამის ნახვის. სოციალურ ქსელში წერთ, რომ არჩილ ტატუნაშვილი სასტიკად ნაწამებია. ხელისუფლება ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებს. უფრო დეტალურად რისი თქმა შეგიძლიათ?

– ჩვენ ზუსტად ვიცოდით, რომ არჩილ ტატუნაშვილი იყო ნაწამები და მოკლული. თავიდანვე გვქონდა ეს ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ დადასტურდა არჩილ ტატუნაშვილის დათვალიერების და ნახვის შემდეგ, ჩემთვის ცოტა გაურკვეველია ხელისუფლების ფრთხილი პოზიცია და ასეთი არამკაფიო განცხადებების გაკეთება.

– ისინი ელოდებიან ექსპერტიზის დასკვნას?

– დიახ, ელოდებიან ექსპერტიზის დასკვნას, მაგრამ პირველადი დათვალიერებითაც კარგად ჩანს, რომ არჩილ ტატუნაშვილი არის ნაწამები! ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, არჩილ ტატუნაშვილის სხეულის ნაწილი გვენახა. ვგულისხმობ ხელებს და სახის ნაწილს.

– და რა ნახეთ?

– იქ უკვე შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა, რომ არჩილ ტატუნაშვილი იყო ნაწამები. მისი ხელები იყო დაგლეჯილი. აშკარად ეტყობოდა ზემოქმედების კვალი, სამხედრო ქუდი ფარავდა თავის ნახევარს და შესაძლებლობა იყო, დაგვენახა ქვედა ნაწილი, ის იყო დეფორმირებული, არაბუნებრივად გასიებული. როგორც მეგობრები და მისი ნათესავები ამბობენ, სახის მოყვანილობა აბსოლუტურად შეცვლილი იყო. შეცვლილია ცხვირის ფორმაც და, როგორც ოჯახის წევრები ამბობენ, ცხვირი ახლიდანაა ამოშენებული. ის, რაც ჩვენ ვნახეთ, ნამდვილად აღარ იყო არჩილ ტატუნაშვილის სახე.

– ბატონო დავით, დიდი დროც გავიდა გარდაცვალებიდან და იქნებ დეფორმაცია განიცადა სახის ნაკვთებმა? შეშუპდა, დასივდა?

– მე მოგახსენებთ მისი მეგობრების, ნათესავების და ოჯახის წევრების აზრს. ეს არის მათი შეგრძნებები, მათი განცდები. ასევე შეინიშნებოდა საფეთქლის არეში რაღაც არაბუნებრივი დეფორმაცია, რომელიც, დიდი ალბათობით, ნატყვიარები უნდა იყოს. ასე დეტალებში საუბარი რთულია, მაგრამ ფაქტი ერთია, არჩილ ტატუნაშვილი არის მოკლული და ის ვერსია, რომელსაც ავრცელებენ რუსი სპეცსამსახურები და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მე შეგახსენებთ ამ ვერსიას, რომ არჩილ ტატუნაშვილმა, კონტროლირებისას გაუწია წინააღმდეგობა თავის ბადრაგს და ამ შეხლა-შემოხლის დროს იგი დაგორდა კიბიდან და გარდაიცვალა გულის მწვავე უკმარისობით. ეს ვერსია უკვე არანაირ კრიტიკას არ უძლებს, ეს ვერსია არის გაქარწყლებული! არჩილ ტატუნაშვილი არის სასტიკად ნაწამები!

– ანუ ამხელა დროის გასვლის მიუხედავად, წამების კვალი ვერ წაიშალა სხეულიდან?

– დიახ, შენარჩუნებულია. ხელები ჰქონდა იმდენად ჩაშავებული და იმდენად დაგლეჯილი, რომ აშკარა იყო წამების კვალი. სიმართლე გითხრათ, მე ძალიან მიკვირს იმ ფრთხილი შეფასების, რასაც აკეთებს ხელისუფლება.

– რატომ აქვს ხელისუფლებას ეს პოზიცია?

– ეს არის რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკის ნაწილი, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება კვლავაც აგრძელებს. ხომ უნდა მიხვდნენ, რომ შედეგები არის ძალიან ცუდი და მხოლოდ სიტუაციის გაუარესებაზე შეგვიძლია საუბარი. ძალიან ბევრ კითხვას აჩენს მათი ასეთი მიდგომა და ასეთი პოლიტიკა. თურმე 27-28 მარტს აპირებენ რუსეთთან ჟენევის ფორმატში ცვლილებების შეტანას და ძალის არგამოყენებაზე ხელმოწერას. ამით მოხდება აფხაზეთის და სამაჩაბლოს მხარეებად აღიარება.

რუსეთი უპრობლემოდ აგრძელებს თავის საოკუპაციო პოლიტიკას, ყოველგვარი შეფერხებების გარეშე იტაცებს ჩვენს მოქალაქეებს, შემდეგ აწამებს მათ, კლავს, გვახვეწნინებს და აბრუნებს მოკლულის ცხედარს მაშინ, როდესაც ის თვლის საჭიროდ! მოკლედ, არგაღიზიანების პოლიტიკა უდრის ტოტალურ კრახს!

– სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროშიც ჩატარდა ექსპერტიზა, ითქვა, რომ მასში მონაწილეობას დამოუკიდებელი ექსპერტებიც იღებდნენ. რა ითქვა, როდის იქნება დასკვნის შედეგები ცნობილი?

– დიახ, გამოვიდა ინფორმაცია, რომ დამოუკიდებელი ექსპერტებიც იყვნენ ჩართული. ვადებს რაც შეეხება, ითქვა, რომ ორ კვირაში იქნება საბოლოო შედეგები. რად უნდა ორი კვირა იმის დამტკიცებას, რომ გვამი ნაწამებია. ჩემთვის სულაც აღარ არის საჭირო ექსპერტიზის პასუხი, რადგან საკუთარი თვალით ვნახე გვამი და ის ნაწამებია. ექსპერტებს რომ ეთქვათ ზედაპირული დათვალიერების შედეგად, რომ გვამი ნაწამებია, ამისთვის ორი კვირა საჭირო ნამდვილად არ არის! სულ არ არის საჭირო, იყო ექსპერტი, რათა გვამის ნახვისთანავე თქვა, რომ ის იყო ნაწამები.

გიგა ბოკერია: „ქართულ ოცნებას“ ჰგონია, რომ უკვე მოვედით ხელისუფლებაში“

შორენა მარსაგიშვილი

„ევროპული საქართველოს“ და „ქართული ოცნების“ ჩახუტების შესახებ დიდი ხანია, რაც ჭორაობენ. ადრე თუ ამას მეოცნებეები კატეგორიულად უარყოფდნენ, ახლა ამას „ოცნების“ ლიდერებიც ადასტურებენ. მეტიც, დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომ უკვე ძნელია იმის გარჩევა, სად მთავრდება „ევროპული საქართველო“ და სად იწყება „ქართული ოცნება“.

– უმცირესობამ, რომელიც წარმოადგენს ნაციონალური მოძრაობის ნასხლეტს, საკმაოდ მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა, აიფარა კონსტრუქციული საბურველი, შემოვიდა მოლაპარაკებებში, მაქსიმალურად სცადა, თავის ბილიკზე გადაეყვანა პროცესი და ამ ხნის მანძილზე აეწია თემა, რომ თუ ეს არ იქნება ერთიანი რეზოლუცია და სიებს თუ არ მივიღებთ, მაშინ არაფერი იქნებაო.

მათ ლიდერებს საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი იმ პრობლემების შექმნაში, რასაც ჰქვია რუსეთის ფედერაციის მიერ ჩვენი ორი ტერიტორიის აღიარება. ეს პრობლემა პირდაპირ შუბლში დაარტყეს ჩვენს ქვეყანას, ამის შემდეგ თქვენ როგორ ფიქრობთ, მომავალში თუ ასე გაგრძელდა, ჩვენს ამომრჩეველს გაუჭირდება იმის გარჩევა, სად იწყება „ევროპული საქართველო“ და სად იწყება „ქართული ოცნება“, – მიმართა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ არჩილ თალაკვაძეს ნუკრი ქანთარიამ.

აღელვებული მეოცნებეს დამშვიდება „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ სცადა.

– „ქართული ოცნების“ ზოგიერთ წარმომადგენელს ჰგონია, რომ უკვე მოვედით ხელისუფლებაში. მინდა დაგამშვიდოთ, ეს ჯერ არ მომხდარა. ეს მოხდება, მაგრამ რომ მოხდება, გაიგებთ ძალიან მკაფიოდ. ასევე მინდა დაგამშვიდოთ, რომ ღელვის არანაირი საფუძველი არ გაქვთ – ჩვენს გუნდებს შორის არანაირი არსებითი დაახლოება არ მომხდარა. არანაირი ილუზია არ მაქვს, რომ „ქართული ოცნების“ საზიანო, მავნებლური ან პასიური პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის დასაცავად, ფუნდამენტურად შეიცვლება. ჩვენ შორის რჩება ისეთივე განსხვავებები, როგორიც იყო. არ არის საჭირო ბევრი ხაზგასმა და კბილების ღრჭიალი, რომ რაღაცაზე შევთანხმდით, ლაპარაკი უნდა იყოს საქმეზე და საქმიან შედეგზე, – განაცხადა ბოკერიამ.

საპარლამენტო უმრავლესობასთან კითხვები დეპუტატ ზაზა პაპუაშვილსაც გაუჩნდა. მას აინტერესებს, პალტოების და კოსტუმების გარდა, არაფერი აღმოჩნდა თუნდაც უგულავა-ბოკერიას ცხოვრების ეპიზოდებში?

– ჩემს საყვარელ ხელისუფლებასთან ერთი მარტივი კითხვა მაქვს. რატომ ითვლება დემოკრატიულ საფრანგეთში ყოფილი მაღალჩინოსნის პასუხისგებაში მიცემა სამართლიანად და პროგრესულად და რატომ ითვლება ჩვენთან ამათი პასუხისგებაში მიცემა სირცხვილად და თავის მოჭრად? „პალტოების“ და „კოსტუმების“ გარდა არაფერი აღმოჩნდა თუნდაც უგულავა-ბოკერიას ცხოვრების ეპიზოდებში? ვერ ექნება საქართველოს სიმშვიდე, სამართლიანობა სჭირდება ყველას, პური სჭირდება ყველას, სიყვარული სჭირდება ყველას. არავის მტრები არ ვართ, სიძულვილი და არიქა, ვინმე ჩამოვატყაოთ, ამას არ ვლაპარაკობ, მაგრამ რა მაქვს ენის მოსაჩლექი?! რა დემოკრატია შეგვეყარა? ან პრინციპულობა სად არის, ან კანონის აღსრულება სად არის, რას ნიშნავს, იმას გავუწიო და ამას გავუწიო ანგარიში? – განაცხადა პაპუაშვილმა.

მისი აზრით, ის რაც ახლა ცხინვალსა და სოხუმში ხდება, წინა ხელისუფლების დატოვებული მემკვიდრეობაა.

– ვისაუბროთ, თუ რა მემკვიდრეობაა ეს, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ტატუნაშვილზე. აქ სხედან ადამიანები, რომლებიც რუსეთთან ერთად არიან ამ უბედურების ავტორები, ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვის თანაავტორები, ომის და უბედურების თანაავტორები. მათი ლიდერი მოსახლეობას პამპერსიანი ელაპარაკებოდა, როგორ დაიცვას თავი დანებით, ჩანგლებით, ცოცხებით და აქანდაზებით. ერთ-ერთ მათგანს მაინც შეეწირა თავი ან რაიმე გაეკეთებინა. ეს ადამიანები იყვნენ რუსი გენერლების მძღოლები და მწვადს რომ წვავდნენ, მწვადზე ხახვის და მარილის მოყრით იყვნენ დაკავებულები და რესტორნებში ქეიფით. შემდეგ იყო კეფაში ქუსლების რტყმა და რიგი წითელ ხიდთან...

ნუკრი ქანთარია: „ხალხი ველარ არჩევს, სად იწყება „ევროპული საქართველო“ და სად მთავრდება ხელისუფლება“

ქვეყანა მიატოვეს. მათ მართლა არ ესმით, რა უბედურება გაუკეთეს ამ ქვეყანას. ჩვენ ვეუბნეოდით, ნუ აკეთებთ ამას, ნუ წირავთ ქვეყანას, ნუ დახოცავთ ხალხს, ნუ ართმევთ, ნუ იპარავთ ხმებს... ათასი საუბარია, როგორი განცხადება გააკეთა პრემიერ-მინისტრმა. საქართველო სასწრაფოდ უნდა გამოვიდეს „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმიდან. არ უნდა აინტერესებდეს ჩვენს არც ერთ მოქალაქეს თუ რას ფიქრობს უგულავა და ბოკერია, რას ფიქრობენ ესენი. როგორც ჩვენ ქვეყანას სჭირდება, ისე უნდა მოვიქცეთ. „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ თუ იქნება, დავლაგდებით, თუმცა არ არის ჯერ-ჯერობით ასე. მე ქვეყანას ვერ შევწირავ პარტიულ კონიუნქტურას და ვერ გავხდები პარტიული ჩინოვნიკი, – განაცხადა პაპუაშვილმა.

ემზარ კვიციანი: „სვანები გაეროსგან მოითხოვენ, რომ მკვიდრ მოსახლეობად აღიარონ“

შორენა მარსაგიშვილი

სვანეთში საკმაოდ მძიმე ვითარებაა. მოსახლეობა ჰესების მშენებლობას და სვანეთის მოსალოდნელ დატბორვას აპროტესტებს, ხელისუფლება კი დათმობაზე არ მიდის და ამბობს, რომ რაც არ უნდა მოხდეს, იქ ჰესები მაინც აშენდება.

შექმნილ ვითარებაში სვანები მხოლოდ ერთ გამოსავალს ხედავენ – ისინი ამ კუთხის მკვიდრ მოსახლეობად უნდა იქნან აღიარებული.

მათ მოსაზრებას სრულიად იზიარებს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ემზარ კვიციანი. მან გუშინ, 21 მარტს, პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს და საქართველოს ხელისუფლებას.

მისი განცხადებით, სვანები სახელმწიფოსგან, გაერო-სგან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მათ მკვიდრ მოსახლეობად აღიარებას ითხოვენ. რასაც, მისი თქმით, უნდა მოჰყვეს ტრადიციული და სათემო საკუთრების დაკანონება საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით.

მან პლენარულ სხდომაზე სვანეთიდან მოსული წერილიც წაიკითხა, სადაც შემდეგი წერია:

– სვანეთი და სვანები სულ ცოტა 55 საუკუნე ღირსეულად და ერთგულად მოჰყვება საქართველოს და ქართველი ერის მრავალათასწლოვან ისტორიას. მთელი თავისი უხანგრძლივესი ყოფიერების განმავლობაში სვანები და სვანეთი ყოველთვის იყო, არის და სამომავლოდაც იქნება ქართველი ერისა და საქართველოს სისხლხორცეული, შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი. გამომდინარე აქედან, გამიზნულად ვუჭერთ მხარს სვანეთის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებასა და აღორძინებას. კონკრეტული დარგების დაწინაურების მიმართულებით. აუცილებელია სვანეთის ერთიან რეგიონად გაერთიანება. მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების შეერთება და ძლიერი ადგილობრივი მმართველობის ჩამოყალიბება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პირდაპირ დაქვემდებარებაში.

ვაცხადებთ, რომ სვანები წარმოვადგენთ ძირძველ, მკვიდრ, აბორიგენ, ავტოქტონურ მოსახლეობას. სვანეთში სვანებზე ყოველმხრივი უპირატესობისა და პრიორიტეტულობის ლეგიტიმური უფლებამოსილებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ სახელმწიფოსგან, გაერო-სგან და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან სვანების მკვიდრ მოსახლეობად აღიარებას. შესაბამისად, მოხდეს ჩვენი ტრადიციული და სათემო საკუთრების დაკანონება. ასევე, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო კანონმდებლობით.

ემზარ კვიციანი სვანების მოსაზრებას იზიარებს და მიიჩნევს, რომ სვანები საერთაშორისო თანამეგობრობამ აუცილებლად უნდა აღიაროს სვანეთის მკვიდრ მოსახლეობად.

ფოთის „კოლხეთის“ ფეხბურთელებით სავსე მანქანა შავშვებთან ამოტრიალდა – დაიღუპა მძღოლი, დაშავდა 6 მგზავრი

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალზე. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, მერსედესის მარკის ავტომანქანა შავშვების მონაკვეთზე ბორდიურს შეეჯახა და ამოტრიალდა.

მანქანაში ფოთის საფეხურთო კლუბ „კოლხეთის“ ფეხბურთელები იმყოფებოდნენ. შემთხვევის შედეგად მანქანის მძღოლი გარდაიცვალა, 6 მგზავრი კი დაშავდა.

სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა 3 მათგანი გორის სამხედრო ჰოსპიტალში, 3 კი კლინიკა „გორმედში“ გადაიყვანეს. როგორც „ნიუპოსტს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო.

სანდრო ბრეგაძე კლინიკიდან პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს

„ქართული მარშის“ ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ბრეგაძე გუშინ, 21 მარტს ღუდუშაურის სახელობის კლინიკიდან საბურთალოზე მდებარე პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. ამის შესახებ მისმა ადვოკატმა ცირა ჯავახიშვილმა „მაესტროს“ ჟურნალისტთან სატელეფონო საუბარში განაცხადა.

ადვოკატი აცხადებს, რომ ბრეგაძე შეუძლოდ გახდომის გამო 20 მარტს ბოლომდე ვერ გამოკითხეს და მას სამართალდამცველების კითხვებისთვის პასუხების გაცემა მოუწევს.

სუს-ის უფროსი გენერალ სერ გარი ჯონსონს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური ბრიტანეთის მთავრობის მრჩეველს უსაფრთხოების და კრიზისების საკითხებში, გენერალ სერ გარი ჯონსონს შეხვდა.

მხარეებმა განიხილეს კრიზისულ სიტუაციებში უწყებების კოორდინაციის საკითხები, უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის კუთხით თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს შორის არსებულ სტრატეგიულ ურთიერთობებსა და სამომავლო თანამშრომლობას.

ხაჯიმბას „სახელმწიფოს“ ჩამოშლაში ადანაშაულებენ

მარიამ მჭედლიშვილი

„ტყის ძმების“ წევრის, გიორგი ლუკავას, შეწყალებისა და თბილისისთვის გადმოცემასთან დაკავშირებული პროტესტი აფხაზეთში ამ ეტაპზე ჩაცხრა, თუმცა, ოკუპირებული რეგიონის რეჟიმის პოზიციები შერყეულია.

პოლიტიკური გაურკვევლობისა და არაღიარების ფონზე რესპუბლიკაში თვალშისაცემია მოსახლეობის გაღატაკება, კლანების თარეში და კრიმინალის მომძლავრება, რამაც რუსეთიდან ჩასული ინვესტორები და ტურისტები იმსხვერპლა.

მომავალ წელს აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს. აფხაზეთის პოლიტიკურად აქტიური საზოგადოების მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ საკითხში აუცილებელია ერთიანობა, რათა არ განმეორდეს 2004 წლის მოვლენები და დესტაბილიზაცია. ამ მოსაზრებას ემხრობა ყოფილი პრეზიდენტი და ამჟამად დეპუტატი ალექსანდრე ანქვაბი. ანქვაბი აცხადებს, რომ მზადაა, უხელმძღვანელოს ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატის საარჩევნო შტაბს. „ერთიან კანდიდატში“ იგი, პირველ რიგში, ხაჯიმბას გულისხმობს.

ოპოზიცია: „საზოგადოების დეპრესიიდან გამოსაყვანად ხელისუფლებას არც ცოდნა აქვს, არც სურვილი და არც ნდობა“

ამ მიდგომას არ იზიარებს სხვა ოპოზიცია. ხაჯიმბას ოპონენტები განაგრძობენ გამოსვლებს დე ფაქტო პრეზიდენტის წინააღმდეგ.

ხაჯიმბას არ დაუკარგავს მოსკოვის მხარდაჭერა, მაგრამ რუსეთისა და პუტინის მოწინააღმდეგეები არც სხვა პოლიტიკური ლიდერები არიან. „უფროსი ძმის“ მიმართ ერთგულება განსაკუთრებით გამოჩნდა რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების წინა დღეებში. აფხაზური ოპოზიცია აფხაზეთში რუსეთის „ელჩსაც“ შეხვდა. რუსეთის წარმომადგენელმა ოპოზიციის მიმართ თბილი სიტყვები არ დაიშურა.

საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ემზადებიან როგორც რაულ ხაჯიმბა, ისე მისი მოწინააღმდეგეები.

დეპუტატი ასლან ბჟანია ხაჯიმბას წინააღმდეგ მორიგი ბრალდებებით გამოვიდა და თქვა, რომ ხაჯიბა აფხაზეთს კრიზისიდან ვერ გამოიყვანს:

– ხაჯიმბამ ჩამოშალა ის სახელმწიფოებრივი მექანიზმი, რომელიც გაჭირვებით, მაგრამ მაინც მუშაობდა ომისშემდგომ პერიოდში. საზოგადოების უდიდესი ნაწილი დეპრესიაშია. მის გამოსაყვანად ამ მდგომარეობიდან ხელისუფლებას არც ცოდნა აქვს, არც სურვილი და არც – ნდობის კრედიტი.

ასლან ბჟანიას სიტყვებით, ხაჯიბას, დაპირების მიუხედავად, არ გაუტარებია აუცილებელი რეფორმები. იგი თავს იწონებს კოსმეტიკური ზომებით. ასეთია, მაგალითად, გენპროკურატურაში კორუფციასთან ბრძოლის სამმართველოს შექმნა. ამ განყოფილების შექმნით კორუფციული დანაშაული არ შემცირებულა. აფხაზეთში ყვავის ძალადობა და კორუფცია. ხელისუფლება არ რეაგირებს ჩინოსნების მხრიდან მილიონების დატაცებაზე. ხელმძღვანელობის ავტორიტეტი კატასტროფულად დაეცა.

– ხელისუფლება ახდენს ლავირებას სხვადასხვა დაჯგუფებას შორის. ეს არის საფრთხე ჩვენი სახელმწიფოსათვის, – აღნიშნავს ხაჯიმბას ოპონენტი.

მისი თქმით, ახალი გუნდი, რომელიც ხელისუფლებაში მოვა, კლანებს უნდა დაუპირისპირდეს და აქცენტი გააკეთოს წესრიგის დამყარებაზე:

– კანონის დიქტატურის გარეშე არც ინვესტიციები იქნება, არც ტურისტები, არც ეკონომიკის განვითარება. წესრიგი უნდა გახდეს პოლიტიკური რეფორმების საფუძველი.

ბჟანია სიტუაციის გამოსასწორებლად აუცილებლად მიიჩნევს ძალაუფლების ახლებურ გადანაწილებას შტოებს შორის.

ერთი ვარიანტით, მინისტრთა კაბინეტი მთავრობად უნდა გარდაიქმნას. მეორე ვარიანტით, მინისტრთა კაბინეტი უქმდება და მინისტრები პირდაპირ პრეზიდენტს დაექვემდებარებიან. უფლებამოსილებები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პრეზიდენტს, სახალხო კრებასა და მთავრობას შორის. პრეზიდენტი პასუხისმგებელი უნდა გახდეს იმაზე, რაც ხდება.

ბჟანიას სხვა რეფორმატორული იდეებიც აქვს. შესაძლოა, ის გახდეს ხაჯიმბას მთავარი კონკურენტი საპრეზიდენტო არჩევნებში.

კალაძე: „მიკროავტობუსებში ფეხზე მდგომ მგზავრებზე რეგულაცია უნდა გამკაცრდეს“

თბილისში მოძრავ მიკროავტობუსებში ფეხზე მდგომ მგზავრებთან დაკავშირებით არსებული რეგულაციების აღსრულების ნაწილი გამკაცრდება. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

– რეგულაციები არსებობს ამასთან დაკავშირებით, მე მგონია, რომ ჩვენ აღსრულების ნაწილში უფრო მკაცრი უნდა ვიყოთ. ეს ისევე მგზავრთა უსაფრთხოების მიზნით ხდება, – განაცხადა კალაძემ.

თბილისის მერი კიდევ ერთხელ გამოეხმაურა სახელმწიფო აუდიტის დასკვნას დედაქალაქში მიკროავტობუსების მიერ ტექდათვალიერების ვერ გავლის შესახებ.

კალაძის თქმით, ასეთი მიკროავტობუსები აბინძურებენ გარემოს და ქმნიან სერიოზულ პრობლემას.

– აუცილებელია მათი ჩანაცვლება ახალი თანამედროვე ტიპის ავტობუსებით. როდესაც ჩვენ დავიწყებთ ახალი ავტობუსების შემოყვანას, აუცილებლად ყვითელი ე.წ. მარშრუტკების კომპანიის მფლობელებს მოუწევთ იმაზე ფიქრი, რომ თავიანთი პარკი განაახლონ, – განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის თანახმად, 2016 წლის 3 ოქტომბრიდან 2017 წლის 3 აპრილამდე პერიოდში, ყვითელი მიკროავტობუსების 25% პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გასავლელად არ გამოცხადდა, ხოლო გამოცხადებული 1.524 მიკროავტობუსიდან 4% უვარგისი გამოდგა.

2017 წელს თბილისში მოსიარულე 816 მუნიციპალური ავტობუსიდან 143-ს არ უწევდა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, დანარჩენი 673 ავტობუსიდან, 456 ავტობუსმა (68%) ინსპექტირება ვერ გაიარა.

ფადი ასლი: „ახლანდელი მოსამართლეები სახლში უნდა წავიდნენ და ახლები მოვიდნენ“

– უცხოელმა ინვესტორმა ქვეყანაში თავი დაცულად რომ იგრძნოს, არსებული პრობლემები უნდა მოგვარდეს. პირველ რიგში, ეს ეხება სასამართლოს და მასთან დაკავშირებულ ხარვეზებს. ერთადერთი გამოსავალია, ახლანდელი მოსამართლეები სრულად დაითხოვოს მთავრობამ.

ისინი სახლში უნდა წავიდნენ და შეიქმნას ახალი, კვალიფიცირებული და კეთილსინდისიერი გუნდი. სხვა გამოსავალი არ არის, – ასე გამოეხმაურა საერთაშორისო სავაჭრო პალატის (IBB) ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ფადი ასლი საქართველოში აშშ-ის ელჩის იან კელის მიერ გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველომ ინვესტორთა დაცულობა უნდა გაზარდოს.

მისივე თქმით, სასამართლოში არსებულ პრობლემებს მხოლოდ კომერციული დავების განმხილველი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება ვერ მოაგვარებს. ინვესტორების უფლებები იმ შემთხვევაში იქნება დაცული, თუ პრობლემა სისტემურად მოგვარდება.

– სასამართლოში ორი პრობლემაა: ერთი ის, რომ ბიზნესდავების განხილვა დროში იწელება და წლები გრძელდება, ანუ დროის ფაქტორი. მეორე პრობლემა კი ზოგადად სასამართლოსადმი უნდობლობაა, ამიტომ მხოლოდ კომერციული პალატის ჩამოყალიბება არ არის საკმარისი. საჭიროა მთლიანი სისტემის შეცვლა, რაც ვერც ერთმა მთავრობამ ვერ შეძლო, არადა შესაძლებელია, – განმარტავს ფადი ასლი.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის (IBB) ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე იზიარებს იან კელის მოსაზრებას იმის შესახებაც, რომ ზოგადად გასაზრდელია ინვესტორების კომფორტის დონე. გამჭვირვალე სასამართლოს გარდა, ფადი ასლი ყურადღებას ამახვილებს უცხოელ ინვესტორებთან პირდაპირ კომუნიკაციაში.

– უცხოელმა ინვესტორმა რომ თავი დაცულად იგრძნოს, ასევე საჭიროა მთავრობას მასთან ჰქონდეს მუდმივი კომუნიკაცია.

სახელმწიფო უნდა დაინტერესდეს, კონკრეტული ინვესტორი რაიმე პრობლემას ხომ არ აწყდება ბიზნესის ოპერირებისას ან რით შეიძლება შეუწყოს ხელი მის საქმიანობას. თუ იქნება მსგავსი მიდგომები და, რა თქმა უნდა, თუ ინვესტორებს ექნებათ განცდა, რომ არიან დაცულნი, მაშინ მერწმუნეთ, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციები ძალიან სწრაფად გაიზრდება, – განმარტავს ფადი ასლი.

ჩხოროწყუს საკრებულომ ნარკოდამოკიდებულებს კატებისა და ძაღლების ყოლა აუკრძალა

ჩხოროწყუს საკრებულოს დადგენილებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე მყოფ პირებს კატებისა და ძაღლების ყოლის უფლება არა აქვთ, 18 წლამდე არასრულწლოვნებს კი მხოლოდ მშობლების წერილობითი თანხმობით შეუძლიათ.

დადგენილება, რომელიც ჩხოროწყუს ახალი მოწვევის საკრებულომ 2017 წლის 4 დეკემბერს მიიღო, განსაზღვრავს ისეთ რეგულაციებსაც, რომელთა ნორმატიული მოწესრიგება, როგორც წესი, შეუძლებელია ანდა მიზანშეწონილი არ არის. მაგალითად, დადგენილებაში მითითებულია, რომ: ძაღლისა და კატის მეპატრონე არ შეიძლება იყოს ქმედუუნარო პირი; ფიზიკურ პირებს შეუძლიათ ქუჩიდან აიყვანონ, იჩუქონ, ასევე ანდერძით ან მემკვიდრეობით მიიღონ კატა და ძაღლი; მოდარაჯე ძაღლის დაბმა შეიძლება მხოლოდ 5 მეტრიანი ან უფრო მეტი სიგრძის თასმით; მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს კატისა და ძაღლის საძილე ადგილის გათბობა და განათება.

„რეგიონფომ“ გამოარკვია, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულომ ეს დადგენილება, მოქალაქეების მიერ 2017 წლის 5 ოქტომბერს შეტანილი პეტიციის საფუძველზე მიიღო. პეტიციას თან ახლდა დადგენილების პროექტიც, რომელიც საკრებულომ ტექსტის შეუცვლელად დაამტკიცა.

აღნიშნული პეტიცია, რომლის მიზანიც ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი ძაღლებისა და კატების მოვლა-პატრონობის მართვის თანამედროვე წესების მიღებაა, ჩხოროწყუს მცხოვრებლებმა საკრებულოში არასამთავრობო ორგანიზაცია „რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრ „თანაზიარის“ მხარდაჭერით წარადგინეს.

„თანაზიარის“ ხელმძღვანელმა ხათუნა ბეჭვაიამ „რეგინფოს“ უთხრა, რომ დადგენილების პროექტი მათ ბათუმში მოქმედმა ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტმა“ მიაწოდა.

პროექტს „პეტიცია-ხალხის ხმა თვითმმართველობაში“ დემოკრატიის ინსტიტუტი 2016 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ახორციელებს და მისი მიზანი აჭარაში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში არსებულ 20 მუნიციპალიტეტში, მოქალაქეთა გააქტიურებით, პრობლემათა გამოვლენით, პეტიციების მომზადებით, საკრებულოებში წარდგენით და ადვოკატირების კამპანიის გზით, თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოსახლეობის ჩართულობის წარმატებული პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობაა.

დემოკრატიის ინსტიტუტის წარმომადგენლის, არჩილ ხახუტაიშვილის განცხადებით, მათ სხვა მუნიციპალიტეტებში არსებული მსგავსი შინაარსის დადგენილებები გამოიყენეს და პეტიციას პროექტის სახით ის დაურთეს: „აბა, ახალს ხომ არ მოვიგონებდით? ავიღეთ ის, რაც უკვე არსებობდა სხვაგან. ეს ჩანაწერი, რაზეც თქვენ მეკითხებით, ზუსტად არ მახსოვს“.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28 წევრი ჰყავს. აქედან 23 „ქართული ოცნებიდან“, 4 ნაციონალური მოძრაობიდან და 1 ევროპული საქართველოდან. საკრებულოში შექმნილია 5 კომისია, 5 ფრაქცია, საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, თანაშემწე და 3 კონსულტანტი, საკრებულოში ფუნქციონირებს იურიდიულ საკითხთა და საქმის წარმოების განყოფილებაც.

საკრებულოს თავმჯდომარეს ბესიკ ესაბუას ვკითხეთ, რატომ ვერავინ ნახა, რომ ასეთი დისკრიმინაციული აკრძალვა დადგენილებით არ დაემტკიცებინათ.

– პეტიციით მოგვმართეს. ჩვენი ინიციატივა არ ყოფილა. შემოწმებას ხომ გადის ეგ დადგენილება საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებამდე. რატომ არ ნახეს? – აღნიშნავს ჩხოროწყუს საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს მიერ მიღებულ დადგენილებებზე სამართლებრივ ზედამხედველობას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ახორციელებს, – მთავრობის ადმინისტრაციაში შექმნილი სამსახურების მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შინაარსის დადგენილებები 2015 წელს მიღებული აქვთ ჩოხატაურის, ბორჯომის, ვანისა და წყალტუბოს საკრებულოებს. ყველა ეს დადგენილება ამჟამად მოქმედია.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა მუნიციპალიტეტის ორგანოების საკუთარ, ანუ ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური ადგენს სამართალდარღვევის ოქმს და აჯარიმებს მოქალაქეებს ძაღლისა და კატის ყოლის წესის დარღვევის გამო. ამ წესების დარღვევისთვის რიგითი მოქალაქე – 8 ლარამდე, თანამდებობის პირი კი 20 ლარამდე ჯარიმით ისჯება.

„ღამის დისტრიბუცია წვრილი სავაჭრო ობიექტების ნაწილის დახურვას გამოიწვევს“

„ღამის დისტრიბუციამ, შესაძლოა, ურჩი რითეილერების რიცხვი გაზარდოს“, – ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ დისტრიბუტორთა ასოციაციის დამფუძნებელმა ივა ჭყონიამ განუცხადა.

დედაქალაქის მერი კახა კალაძე მერად არჩევის პირველივე დღეებიდან გამოვიდა ინიციატივით, რომ დისტრიბუციის ავტომანქანებმა ღამის საათებში განსაზღვრულ დროს უნდა იმოძრაონ. როგორც ის განმარტავდა, დისტრიბუციის ავტომანქანები გადატვირთული საავტომობილი მოძრაობის დროს, ე.წ. პიკის საათებში პრობლემას ქმნიან.

ამასთან, რამდენიმე დღის წინ კახა კალაძემ განაცხადა, რომ თბილისის მერია სადისტრიბუციო მანქანების გადაადგილების განრიგში ცვლილებების შეტანას გეგმავს.

– პროექტი უკვე პარლამენტშია გადაგზავნილი. როგორც იცით, გარკვეული ცვლილებები განხორციელდა ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში იგივე მიდგომები გვექნება. სადისტრიბუციო მანქანებისთვის მითითებული იქნება გარკვეული დრო, სავარაუდოდ, 20.00 საათიდან დილის 7 საათამდე, – განაცხადა კახა კალაძემ და აღნიშნა, რომ სადისტრიბუციო კომპანიების ასოციაციასთან შეთანხმება ჯერ არ არის მიღწეული.

– გვქონდა შეხვედრა, მაგრამ შეთანხმება ჯერ მიღწეული არ არის. არ გამოვრიცხავ, რომ თავდაპირველად კონკრეტული რაიონები შევარჩიოთ, – განაცხადა მან.

ივა ჭყონიას განმარტებით, ზოგადად რეფორმა მისასალმებელია, მაგრამ მისი თქმით, დისტრიბუციის ავტომანქანების ღამის საათებში მოძრაობა ეკონომიკური კუთხით უარყოფით შედეგს გამოიღებს და დიდი ალბათობით, წვრილი სავაჭრო ობიექტების ნაწილის დახურვას გამოიწვევს.

– რეფორმა კარგია, მაგრამ მას ეკონომიკური უკუშედეგი არ უნდა მოჰყვეს. დისტრიბუტორები ცვლილებისთვის მზად ვართ, მაგრამ ამან ჩვენ არ უნდა დაგვაზარალოს. უმუშევრობა არ უნდა გაიზარდოს, მაღაზიები არ უნდა დახუროს და ა.შ. პრობლემა იმაშია, რომ ღამის დისტრიბუცია მოითხოვს დამატებით კადრებს, რომლებიც ღამის საათებში იმუშავებენ და პროდუქციას ჩაიბარებენ. შესაბამისად, წვრილი საცალო ვაჭრობის ობიექტები, რომელთა რიცხვიც 5000-მდეა, ღამის საათებში დამატებითი კადრის აყვანას ვერ შეძლებენ, რადგან შემოსავალი ისედაც მცირე აქვთ. მათი ნაწილი ცვლილებას ვერ გაუძლებს, შესაძლოა, დაიხურონ და დისტრიბუტორების ფულიც გაიყოლონ. ისედაც იცით, რომ გვყავს ურჩი რითეილერები, რომლებიც სადისტრიბუციო კომპანიებს თანხებს დროულად არ უხდიან. ღამის დისტრიბუციამ კი მათი რიცხვი შესაძლოა, გაზარდოს, – აცხადებს ივა ჭყონია.

მისივე თქმით, დისტრიბუციის ავტომანქანები საცობს ნაკლებად ქმნიან და ისინი გადატვირთულ საათებში ქალაქში მოძრაობისგან თავს იკავებენ.

– ჩვენ დავუსაბუთეთ მერიას, რომ სადისტრიბუციო მანქანები საცობს არ ქმნიან. დილის 8 საათიდან 10 საათამდე, როცა საცობია, სადისტრიბუციო კომპანიების 85% ქსელში არ არის. ისინი ქუჩებში 10 საათის შემდეგ გადიან. ისინი ძირითადად ცდილობენ, რომ 17 საათამდე მოახდინონ ობიექტების მომარაგება, რადგან საღამოს საცობებია. დიდი ქსელური მარკეტები კი, რომლებიც ღამის დისტრიბუციას თავად ახორციელებენ, გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან.

პარადოქსულია, მაგრამ დღის საათებში უფრო უადვილდებათ ავტომანქანების დაპარკინგება, ვიდრე ღამით. ეს ყველაფერი ავუხსენით მერიის წარმომადგენლებს და მისასალმებელია, რომ ისინი ჩვენ გარეშე გადაწყვეტილებას არ იღებენ. იმედი გვაქვს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჩვენთვის მტკივნეული არ იქნება, – აღნიშნავს ივა ჭყონია.

ამასთან, დისტრიბუტორთა ასოციაციის დამფუძნებლის განმარტებით, დისტრიბუციის ავტომანქანების ღამის საათებში მოძრაობა ქალაქში ავტომანქანების რაოდენობას არ შეამცირებს.

– თუ პატარა მაღაზია ღამის დისტრიბუციაზე უარს იტყვის იმის გამო, რომ ცვლილება ხარჯებს გაუძვირებს, თავის გადარჩენის მიზნით, თავად წავა ბაზარში და მოიტანს პროდუქტს. ანუ ის მანქანა ქალაქში მაინც იმოძრავებს. ცვლილება გააჩენს იმ პრობლემას, რომ აღურიცხავი საქონლის რაოდენობა გაიზრდება. წვრილი სავაჭრო ობიექტები თვითმომარაგებაზე გადავლენ, რომ ხარჯი ნაკლები ჰქონდეთ. კიდევ ერთი უარყოფითი ფაქტორი, რაც ამ ცვლილებას ექნება, არის ის, რომ ღამის დისტრიბუცია გამოიწვევს ხმაურს, რაც მოსახლეობას დისკომფორტს შეუქმნის, – აცხადებს ივა ჭყონია.

საღ შეიძლება მოვიძიოთ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი?

საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი შედგება 21 სექციისა და 99 განყოფილებისაგან. თითოეული მათგანი შეიცავს საქმიანობის სახეს, რომელსაც შეიძლება ახორციელებდეს მეწარმე სუბიექტი. აღნიშნული საქმიანობის სახეებია: სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა; სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერის დამუშავება; დამამუშავებელი მრეწველობა; ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება; წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები; მშენებლობა; საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი; ტრანსპორტირება და დასაწყობება; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობები; ინფორმაცია და კომუნიკაცია; საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები; პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები; ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები; სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება; განათლება; ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები; ხელოვნება, გართობა, დასვენება; სხვა სახის მომსახურება; შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის საქმიანობები, არადიფერენცირებული საქონლის მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის; ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები.

რაც შეეხება რეესტრს, 2016 წლის 2 სექტემბრიდან საჯარო რეესტრის სისტემაში შეიქმნა ახალი რეესტრი, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობათა რეგისტრაციას ახდენს.

რა არის ეკონომიკურ საქმიანობათა რეგისტრაციის მიზანი?

ეკონომიკურ საქმიანობათა რეგისტრაციის მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში ერთიანი საქმიანობის რეესტრის ფორმირება, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს ეკონომიკური საქმიანობის ბაზრის კვლევას, ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვას და უზრუნველყოფს უტყუარი სტატისტიკის წარმოებას ქვეყანაში.

სავალდებულოა თუ არა მეწარმე სუბიექტმა თავისი საქმიანობა დაარეგისტრიროს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში?

ეკონომიკურ საქმიანობათა სახეები ორ კატეგორიად იყოფა: სავალდებულო სარეგისტრაციო საქმიანობათა ის სახეები, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას და ნებაყოფლობითი საქმიანობათა სახეები, რომლის რეგისტრაცია სავალდებულო არ არის.

სავალდებულო სარეგისტრაციო საქმიანობის კატეგორიაში შედის:

– სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობა, რომელიც უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებას.

– „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობასთან ან/და შრომით მოწყობაში დახმარებასთან

– „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების საქმიანობა, სადაც ხორციელდება ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურები.

როგორ ხდება ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაცია?

სუბიექტის ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციისთვის, სააგენტოში წარდგენილ უნდა იქნას უფლებამოსილი პირის განცხადება ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის შესახებ, ასევე, საქმიანობის კონკრეტული სახეებისა და საქმიანობის ადგილის (მისამართის) შესახებ ინფორმაცია ელექტრონული ფორმით.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის ვადა რეგისტრაციის მომენტიდან 1 წელია. ამ ვადის გასვლა რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების ძალადაკარგულობას იწვევს, თუ დაინტერესებული პირი რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მოთხოვნას არ წარმოადგენს. ამგვარი რეგულირება მიზნად ისახავს, უზრუნველყოს მონაცემთა განახლება და რეგისტრირებული სუბიექტის მიერ რეალურად განხორციელებული საქმიანობის შესახებ რეესტრში ზუსტი, სანდო მონაცემების ასახვა მესამე პირებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით.

მთავრობა სამშენებლო სექტორს ახალ რეგულაციას უმზადებს

ეკონომიკის სამინისტრო კანონპროექტზე მუშაობს, რომლის მიხედვითაც, სამშენებლო კომპანიებს დასრულებული შენობების ფარული დეფექტების დაზღვევის ვალდებულება ექნებათ.

იმ შემთხვევაში, თუ შენობაში რაიმე კონსტრუქციული ხარვეზი, ან უფრო დიდი პრობლემა აღმოჩნდა, რამაც შენობა ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ საცხოვრებლად უვარგისი გახადა, აღნიშნული დაზღვევის შემდეგ ნაკლის გამოსწორება უნდა მოხდეს. დაახლოებით ასე იკითხება საკანონმდებლო ცვლილებების ის პაკეტი, რასაც ეკონომიკის სამინისტრო ამუშავებს. როგორც მინისტრის მოადგილემ, ირმა ქავთარაძემ BM.GE-თან განმარტა, დასრულებული შენობების ფარული დეფექტების დაზღვევის კანონპროექტთან დაკავშირებით უწყება კონსულტაციებს გადის როგორც სადაზღვევო ინდუსტრიასთან, ისე სამშენებლო სექტორთან.

– პასუხისმგებლობის დაზღვევა დღესაც არსებობს და ნებაყოფლობითობის საფუძველზე ნებისმიერ კომპანიას და ნებისმიერ დარგში მომუშავე ექსპერტს შეუძლია, რომ ასეთი სადაზღვევო პროდუქტი შეიძინოს. რაც შეეხება სავალდებულო დაზღვევას, ამის თაობაზე მსჯელობა მიმდინარეობს დარგთან ერთად. მე ვგულისხმობ როგორც სამშენებლო კომპანიებს, ასევე სადაზღვევო კომპანიებს. ასევე ჩვენ ვსწავლობთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას, რომელ ქვეყნებში არსებობს ასეთი სავალდებულო მოთხოვნები, რა გავლენას ახდენს ის სექტორზე და, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ჩვენ ასეთი რეგულაციების შემოღებაზე გავაგრძელებთ კონსულტაციებს დარგთან, რომ შემოღებულ იქნას ფარული დეფექტებისაგან შენობის პასუხისმგებლობის დაზღვევა. ეს ეხება ფარულ დეფექტებს, – განმარტა ირმა ქავთარაძემ.

მისი თქმით, დოკუმენტი საბოლოო სახით მზად სავარაუდოდ წლის ბოლოსთვის იქნება.

სამშენებლო სექტორისთვის სავალდებულო დაზღვევის შემოღებას სადაზღვევოები ლობირებენ, – ასე ეხმაურება მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი, ირაკლი როსტომაშვილი ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან სამშენებლო კომპანიების დასრულებული ობიექტების ფარული დეფექტების დაზღვევის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებებს. როგორც როსტომაშვილი ამბობს, აღნიშნულ თემაზე მათ ეკონომიკის სამინისტროში დაახლოებით 6 თვის წინ ჰქონდათ შეხვედრა, სადაც დააფიქსირეს მათი უარყოფითი დამოკიდებულება.

მენაშენეებისთვის გაუგებარია, რა მიზნით მზადდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და რა სტატისტიკით ამყარებს უწყება აღნიშნულ ინიციატივას. ასოციაციის პოზიციაა, რომ აღნიშნული კანონპროექტს სადაზღვევო ინდუსტრია ლობირებს.

– ეს გაზრდის ბიუროკრატიულ ხარჯებს. აზრი რა აქვს ამ დაზღვევის შემოღებას, მართლა ვერ ვხვდები. თქვენ წარმოიდგინეთ ინვესტორის მდგომარეობა, რომელმაც ინვესტიცია გააკეთა საქართველოში, სახლი ააშენა, მოახდინა რეალიზაცია და წავიდა ქვეყნიდან. მერე 10 წელი დაზღვევა იხადოს? არსად ასეთი რამ არ არის. მესმის, რომ სადაზღვევო კომპანიებს ცუდი პერიოდი აქვთ და ეძებენ ვარიანტებს და უკეთებენ ლობირებას სხვადასხვა უწყებებში, რომ რაღაც შემოსავალი გაუჩნდეთ. საბოლოო ჯამში, ეს მოსახლეობის გადასახდელია. ბუნებრივია, დაედება გაყიდვას ტვირთად, – აცხადებს ირაკლი როსტომაშვილი.

მისი განმარტებით, ფარული სამუშაოები დღესაც რეგულირდება კანონმდებლობით, რაც აღნიშნული ცვლილებების აუცილებლობას გამორიცხავს.

– ეს უფრო ხაზგასმული იქნება ახალ კოდექსში. ფარული სამუშაოების სპეციალური ჟურნალი უნდა იყოს ყველა ობიექტზე. იმიტომ ჰქვია ფარული სამუშაოები, რომ პირობითად ფუნდამენტში როცა არმირება გაკეთდება და შემდეგ იქ ჩაასხამენ ბეტონს, მერე უკვე აღარ ჩანს, როგორ იყო არმირება გაკეთებული. ამისთვის პროექტის მთავარი ინჟინერი აკეთებს ჩანაწერს ანუ ის ფარულ სამუშაოებს ნახულობს, როგორ არის გაკეთებული და აწერს ხელს. მე არ მესმის, რა უნდა დაიზღვეს ამ შემთხვევაში და მიზანი და შინაარსი რა არის, – განმარტავს როსტომაშვილი.

საქმიანობები, რომელთა დაურეგისტრირებლად, ჯარიმა დაგეკისრებათ

საადვოკატო ბიურო OK&CG განგიმარტავთ, რა არის ეკონომიკური საქმიანობა; რა საჭიროა საქმიანობის „ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში“ დარეგისტრირება; რომელი საქმიანობის რეგისტრაციაა სავალდებულო და რომელი ნებაყოფლობითი და ა.შ.

ეკონომიკური საქმიანობის ცნება ყველა იმ საქმიანობას მოიცავს, რომელიც მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღებისთვის ხორციელდება, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა.

ეკონომიკურ საქმიანობათა სახეები და ჩამონთვალი აღწერილია საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორში, რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ არის შემუშავებული და დამტკიცებული. აღნიშნული კლასიფიკატორის თანახმად, ეკონომიკური საქმიანობა არის პროცესი, რომლის საშუალებითაც პროდუქცია (საქონელი ან მომსახურება) მიიღება. ეკონომიკურ საქმიანობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა გაერთიანებულია რესურსები (მოწყობილობები, სამუშაო ძალა, ტექნიკური საშუალებები, ნედლეული) კონკრეტული პროდუქციის შესაქმნელად.

სროლა ბოლნისის ცენტრში — დაჭრილია სამი ადამიანი

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, ბოლნისში სამი პირი დაჭრეს. შემთხვევა ცოტა ხნის წინ გამგეობის შენობის წინ მოხდა. მომხდარის ერთ-ერთ მოტივად მიწის ნაკვეთის ირგვლივ არსებული დაპირისპირება სახელდება.

დაჭრილები კლინიკაში გადაიყვანეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში განუცხადეს, დაკავებულია ერთი პირი. მომხდარზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის ორი 236-ე და 118-ე მუხლებით აღძრა, რაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას და ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

შსს-მ ლადო სადღობელაშვილი დააკავა — მას 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტელეკომპანია რუსთავი 2-ზე განხორციელებული ძალადობის გამო, ლადო სადღობელაშვილი დააკავა.

უწყების ცნობით, სადღობელაშვილი ჯგუფური ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს და მას ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

– 2018 წლის 19 მარტს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-თან მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ქართული მარშის წევრი ლ.ს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ხულიგნობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) არის დაკავებული. დანაშაული 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამავე საქმეზე სამართალდამცველების კითხვებს გუშინდელი დაპირისპირების მონაწილე პირები: მ.ა. ვ.ს. ი.დ. და გ.ო. ამ წუთებში პასუხობენ, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

მელორ ვაჩნაძე დააკავეს

სამართალდამცავებმა მელორ ვაჩნაძე დააკავეს. ვაჩნაძეს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა და წვრილმანი ხულიგნობა ედება ბრალად, რომელიც წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული.

გავრცელებული ინფორმაციით, არაფხიზელ მდგომარეობაში ღუდუშაურის კლინიკაში მივიდა და ერთ-ერთ პაციენტთან ითხოვდა შესვლას. ვინაიდან დაახლოებით 20:00 იყო და მნახველების შესვლის დრო ამოწურული, მას კლინიკის დაცვამ შენობაში შესვლის უფლება არ მისცა. ამის შემდგომ ვაჩნაძემ დაცვას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც ის პოლიციამ დააკავა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ვაჩნაძე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებითაა დაკავებული, რაც წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს.

ზუგდიდში ავტოსაგზაო შემთხვევას 70 წლამდე ქალი ემსხვერპლა



ზუგდიდში, ნიკოლაძის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევას 70 წლამდე ქალი ემსხვერპლა. თვითმხილველების ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილის მძღოლი ჯერ მეორე მსუბუქ ავტომობილს, შემდეგ კი ტროტუარზე მყოფ ქალს დაეჯახა.

– შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ქალი რამდენიმე მეტრზე მოისროლა. ის ადგილზე დაიღუპა, – განაცხადეს თვითმხილველებმა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სს კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

„ბურთი გადაუვარდა წყალში და იმას გაყვა“ — მდინარე ჩირუხისწყალში 14 წლის მოზარდს ამ დრომდე ეძებენ

სოფელ შუბანში, მდინარე ჩირუხისწყალთან, 14 წლის მოზარდი გაუჩინარდა.

შუახევის მერის, ფრიდონ ფუტკარაძის ინფორმაციით, ბიჭს თამაშის დროს ბურთი მდინარეში გადაუვარდა და მის ამოსაღებად სავარაუდოდ წყალში შევიდა.

– ბავშვები თამაშობდნენ, ბურთი გადავარდა მდინარეში, ბავშვი გაყვა და ამის შემდეგ აღარ გამოჩენილა, – განაცხადა შუახევის მერმა.

რუსთავში ახალგაზრდა ქალს მანქანა დაეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა მეგობრობის გამზირის 16 ნომრის მიმდებარედ არსებულ ქვეითთა გადასასვლელზე. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ახალგაზრდა ფეხით მოსიარულე ქალს „ნისანის“ მარკის ავტომობილი დაეჯახა. ქვეითად მოსიარულეს ავტომობილი დაეჯახა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები და სასწრაფო დახმარების ბრიგადა. დაშავებული ექიმებმა კლინიკა ,,რუსთავში“ გადაიყვანეს. მედიკოსიების ინფორმაციით, პაციენტი კონტაქტურია, თუმცა მას გამოკვლევები უტარდება.

კახეთში შვილმა 92 წლის დედა ნაჯახით მოკლა

მკვლელობა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლში – შვილმა დედა ნაჯახით მოკლა. თვითმხილველების განცხადებით, 92 წლის ქალს ნაჯახი თავში აქვს ჩარტყმული, იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

ბრალდებული უკვე დაკავებულია. გამოძიება ოჯახური ძალადობის ნიადაგზე განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო.

ნარკოდანაშაულისათვის ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ არაერთგზის ნარკოტიკული საშუალების და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა- შენახვისათვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურიდან აცნობეს, საქმის მასალების თანახმად, წარსულში ნარკოდანაშაულისათვის მსჯავრდებულმა მ. ბ.-მ პირობითი მსჯავრისა და გამოსაცდელი ვადის პირობებში, 2017 წლის 29 ივნისს ჩაიდინა ახალი დანაშაული.

– კერძოდ, ბრალდებულის პირადი და ბინის ჩხრეკისას, სამართალდამცავებმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეძენილი და შენახული 0.1133 გრამი ნარკოტიკული საშუალება კანაფის ფისის შემცველი უფერო, გამჭვირვალე პოლიეთილენის ჩამკეტიან პაკეტში მოთავსებული, მომწვანო-მოყავისფრო ფერის, რბილი პლასტიკური მასა და 2,027447 გრამი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს შემცველი 6 ცალი, ვერცხლისფერ ფოლგის ნაჭერში მოთავსებული მოყვითალო-მოყავისფრო ფერის კრისტალური ნივთიერება და ელექტრო-სასწორის პირზე არსებული დანაშრევი ამოიღეს (დანაშაული გათვალისწინებულია სსსკ-ის 260 -6,ა).

საქმეში არსებული და სხდომებზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ამასთანავე ბრალდებულმა აღიარა და მოინანია ბრალად შერაცხული ქმედება.

სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო დანაშაულის რეციდივი, სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა, რომ ბრალდებულის წინა ნასამართლობა იყო მისი ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოება (არაერთგზისობა), ასევე სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის აღიარება და ის ფაქტი, რომ აღნიშნული ქმედებისათვის კანონმდებლის მიერ განსაზღვრულია საკმაოდ მკაცრი სასჯელი. შესაბამისად, სასამართლომ მ. ბ.-ს, მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ამასთანავე, სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ ისარგებლა დისკრეციული უფლებამოსილებით და ნაცვლად ნაწილობრივი ან სრულად შეკრებითობის პრინციპისა, გამოიყენა შთანთქმის პრინციპი, რომლის თანახმადაც, 2014 წლის 15 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელი პირობითი მსჯავრი – 3 წელი, იმავე გამოსაცდელი ვადით, შთანთქა ახალი განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა, – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

11 წლის გოგონას გარდაცვალების საქმეზე დაკავებულ მძღოლს გირაო შეეფარდა

30-წლის მამაკაცს, რომელიც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევის ბრალდებით 18 მარტს კასპში დააკავეს, გირაო შეუფარდეს. ამის შესახებ გადაწყვეტილება გორის სასამართლოში მიიღეს. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 11 წლის გოგონა გარდაიცვალა.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 4 იანვარს ქალაქ კასპში თავისი კუთვნილი ავტომანქანით მოძრაობდა, რა დროსაც 2008 წელს დაბადებულ ქვეითად მოსიარულე მ.გ.-ს შეეჯახა. არასრულწლოვანი გოგონა ადგილზე გარდაიცვალა.

დაკავებულის ადვოკატის განცხადებით, ბრალდებულს გირაო 7 ათასი ლარის ოდენობით შეეფარდა. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო, ტრასოლოგიური, ავტოტექნიკური, ტოქსიკოლოგიური და სხვა სახის ექსპერტიზები. მუხრუჭის კვალის მიხედვით, გამოძიებამ დაადგინა, რომ მანქანა 88 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა. ადვოკატის თქმით, დასადგენია მუხრუჭის კვალის წარმომავლობის საკითხი, რომლითაც გამოძიებამ იხელმძღვანელა.

მამაკაცს, რომელიც ცოლზე ორსულობის დროსაც ძალადობდა, 4-დან 6 წლამდე პატიმრობა ემუქრება

პროკურატურის ინფორმაციით, მ.მ.-ს მიმართ განხორციელებული სისტემატური ოჯახური ძალადობის ფაქტზე მისი ყოფილი მეუღლე რ.ბ. სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა.

– საქართველოს პროკურატურის მიერ სისტემატური ოჯახური ძალადობის ფაქტზე რ.ბ. სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111, 126-ე მუხლის 11 ნაწილით და მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, ჩადენილი დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ).

სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2016 წლის მაისიდან 2017 წლის ოქტომბრის ჩათვლით, ყაჩაღობისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი რ.ბ. მეუღლეს მ.მ.-ს სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და ამცირებდა, სცემდა და მის მიმართ ახორციელებდა ფიზიკურ ძალადობას, რაც დაზარალებულის ფიზიკურ და ფსიქიკურ ტანჯვას იწვევდა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ რ.ბ. მეუღლის მიმართ ძალადობას, მისი ორსულად ყოფნის პერიოდშიც ახორციელებდა.

ვინაიდან რ.ბ. დღემდე თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, 2018 წლის 20 მარტს მას დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება. საქართველოს პროკურატურამ უკვე მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს რ.ბ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით. წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად ოთხიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება გამოძიება, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

☎ 599-73-48-21

ლავროვი პოსტიდან მიდის

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ახალი მთავრობის შემადგენლობაში არ შევა და თანამდებობას დატოვებს. ამის შესახებ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით ტელეკომპანია არტივიაი იუწყება.

წყაროების ცნობით, ლავროვს უკვე რამდენიმე წელია თანამდებობის დატოვება სურს, ვინაიდან ის თავს გადაღლილად გრძნობს. თუმცა, პუტინის თხოვნით, ის საპრეზიდენტო არჩევნებამდე სამინისტროს სათავეში დარჩა.

– ის, რომ მას დიდი ხანია წასვლა სურს, არავისთვის არის საიდუმლო, – განუცხადა არტივიაის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ არ იცის, დარჩება თუ არა ლავროვი საკუთარ თანამდებობაზე.

ბორის ჯონსონი: „რუსი დიპლომატების გაძევება მიმართულია პუტინის ანტირუსული რეჟიმის წინააღმდეგ“

ბრიტანეთმა 23 რუსი დიპლომატი ქვეყნიდან გააძევა. პრემიერ ტერეზა მეის ცნობით, ყველა მათგანი დიპლომატის საფარს ამოფარებული სპეცსამსახურის თანამშრომელი იყო.

– ჩვენ საგანგებოდ ამოვარჩიეთ ისინი, ვინც დიპლომატები კი არა, ჯაშუშები იყვნენ, – თქვა მეიმ.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ჯონსონმა თავის ინტერვიუში აღნიშნა, რომ მომხდარის გამო გულნატკენია.

– ჩემი წინაპრები წარმოშობით რუსეთიდან იყვნენ. გულწრფელად მსურდა, რომ რუსეთი ჩვენი მეგობარი და მოკავშირე ყოფილიყო, – თქვა მინისტრმა.

ჯონსონმა თქვა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნისთანავე პირველი ვიზიტით მოსკოვს ესტუმრა.

– შევხვდი ლავროვს. პირდაპირ განვუცხადე, თქვენთან მეგობრობა გვსურს-მეთქი! ლავროვი ამას გულგრილად შეხვდა. უკვე მაშინ მივხვდი, რომ ჩემი ვიზიტი მხოლოდ დროის დაკარგვა იყო, – ამბობს ჯონსონი.

მინისტრის აზრით, ვლადიმერ პუტინს ბრიტანეთის და საერთოდ ევროპის მიმართ საკუთარი გეგმები გააჩნია.

– მას ჩვენთან მეგობრობა კი არა, რუსული დიქტატისადმი ჩვენი დამორჩილება სურს, – ამბობს ჯონსონი.

მინისტრმა სწორედ ამით ახსნა, რომ გრუ-ს ყოფილი აგენტის სკრიპალის მოწამვლის ბრძანება პირადად პუტინმა გასცა.

– ჩვენ ამის დამამტკიცებელი საბუთები გაგვაჩნია, – განაცხადა ჯონსონმა.

მინისტრმა მიუთითა, რომ ინგლისიდან რუსი დიპლომატების გაძევება აუცილებელი საპასუხო ნაბიჯი იყო.

– ჩვენს ტერიტორიაზე გაზი იქნა გამოყენებული, ეს კი ბრიტანეთის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის ტოლფასია. რუსი დიპლომატების გაძევება მიმართულია არა რუსი ხალხის, არამედ პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც თავისი არსით ანტირუსულია, – ამბობს მინისტრი.

ამრიგად, რუსმა დიპლომატებმა ბრიტანეთის დედაქალაქი დატოვეს. მოსკოვმა პასუხად ინგლისელი დიპლომატები გააძევა.

განცხადებები

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის,ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

აფეთქება კიშინეუში

კიშინეუს ცენტრში ინციდენტი მოხდა. მაღაზიაში ორი შექეიფიანებული მამაკაცი შევიდა და არყის ყიდვა მოისურვა. გამყიდველმა ამაზე უარი უთხრა. მაშინ ერთ-ერთმა მამაკაცმა ხელყუმბარა ამოიღო და განაცხადა: ახლავე არაყი მოგვეცი, თორემ აგაფეთქებთო.

მაღაზიაში პანიკა დაიწყო. რამდენიმე მყიდველი კარს ეცა, რათა იქაურობას გასცლოდა. დაიწყო ჭყლეტა. როგორც ჩანს, მამაკაცმა ხელყუმბარის ხმარება არ იცოდა, რადგან ის ხელში აუფეთქდა. შედეგად თავადაც დაიღუპა და კიდევ ერთი მყიდველის სიცოცხლეც შეიწირა.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

უკრაინა: „გაზპრომის აქტივები დაპატიმრებულია“

უკრაინის იუსტიციის სამინისტრომ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული გაზპრომის აქტივები „დააპატიმრა“. ამის თაობაზე იუსტიციის მინისტრმა პეტრენკომ განაცხადა.

მიზეზია შეუსრულებლობა სტოკჰოლმის არბიტრაჟის დადგენილების, რომლის თანახმადაც გაზპრომმა უკრნაფტოგაზს დიდძალი კომპენსაცია უნდა გადაუხადოს.

– ჩვენ იძულებულნი გავხდით, ამ ნაბიჯზე წავსულიყავით, – თქვა პეტრენკომ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

სასამართლომ მოსარჩელე გარდაცვლილად გამოაცხადა

რუმინელმა, რომელიც შეცდომით გარდაცვლილად იყო მიჩნეული, სასამართლოს ვერ დაუმტკიცა, რომ ცოცხალია.

63 წლის კონსტანტინ რელიუს საქმე რუმინეთის ქალაქ ვასლუის სასამართლოში განიხილებოდა. მისი მტკიცებულებები უარყოფილი

იქნა, ვინაიდან მან აპელაციის შეტანა დააგვიანა. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მამაკაცმა საკუთარი „გარდაცვალების“ შესახებ რუმინეთში 26 წლის შემდეგ დაბრუნების დროს შეიტყო. 1992 წელს რელიუ თურქეთში ცხოვრობდა და სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებთან კონტაქტი დაკარგა. ცოლმა გადაწყვიტა, რომ ის გარდაიცვალა და 2016 წელს მისი გარდაცვალების სერტიფიკატი გააფორმა.

ორი წლის შემდეგ თურქეთის ხელისუფლებამ რელიუს დეპორტაცია განახორციელა, ვინაიდან ის ქვეყანაში ვადაგასული საბუთებით იმყოფებოდა. რუმინეთში მან აღმოაჩინა, რომ მას გარდაცვლილად თვლიდნენ.

– ოფიციალურად მე მკვდარი ვარ, მაგრამ მე ცოცხალი ვარ. არ გამაჩნია სამუშაო და ვერაფერს ვაკეთებ, ვინაიდან გარდაცვლილად ვითვლები, – აცხადებს რელიუ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დონალდ ტრამპ-უმცროსს ცოლი შორდება

აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის უფროსი შვილი თავის მეუღლეს შორდება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

განქორწინების ინიციატორი ამერიკის პრეზიდენტის 40 წლის რძალი ვანესა ტრამპია. მან რამდენიმე დღის წინ მანჰეტენზე მდებარე სასამართლოში განცხადება შეიტანა.

განქორწინების პროცესი ორივე მეუღლის თანხმობით დაიწყო, ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხანგრძლივი დავები დაიწყოს ბავშვების მეურვეობისა და ქონების გაყოფის საკითხებზე.

დონალდ-უმცროსმა და ვანესამ 2005 წლის ნოემბერში იქორწინეს. წყვილის მეგობრების ინფორმაციით, დონალდი ბოლო დროს მოგზაურობებმა გაიტაცა და ამის გამო მისი მეუღლე ბავშვებთან ერთად ხშირად მარტო რჩებოდა. ასევე გარკვეული პრობლემები ჰქონდათ პირად ურთიერთობებშიც.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

მარკოიშვილი ევროთასზე აგებს, დიქსონი ჩემპიონატში იგებს

ევროთასის გათამაშების ნახევარფინალის პირველი მატჩი წააგო მანუჩარ მარკოიშვილის გუნდმა. რეჯიო ემილია რუსეთს ესტუმრა და კრასნოდარში ლოკომოტივ-ყუბანს დაუპირისპირდა. იტალიურმა კლუბმა შეხვედრა 65:82 დათმო.

მარკოიშვილი სასტარტო ხუთეულში გახლდათ და მოედანზე გატარებულ 21 წუთში 3 ქულა, 6 პასი და 1 მოხსნა მიითვალა. მანუჩარმა 3-დან 1 სამქულიანი ჩააგდო, ორქულიანი ააცილა.

ნახევარფინალური სერიის საპასუხო მატჩი 23 მარტს რეჯიო ემილიაში გაიმართება და გამარჯვების შემთხვევაში ლოკომოტივი ფინალში გავა. გათანაბრების შემთხვევაში მესამე, გადამწყვეტ მატჩს კრასნოდარი 28 მარტს უმასპინძლებს.

მეორე ნახევარფინალში დარუშაფაკამ 76:74 დაამარცხა მიუნხენის ბაიერნი.

თურქეთის მეორე ლიგის ერთ-ერთ ლიდერ ბელეიდესისთან მაიკლ დიქსონმა წინა ტურში 18 ქულა ჩააგდო, მაგრამ მისი გუნდი ბრძოლაში – 85:87 დამარცხდა. საქართველოს ნაკრების ამერიკელმა წევრმა ბოლო ტურშიც 18 ქულა ჩაუგდო ერთ-ერთ ლიდერ ბურსას, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად მისმა ბაჰჩეშეჰირმა 71:68 იმარჯვა.

დიქსონი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 36 წუთში 18 ქულა, 4 მოხსნა, 6 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. მაიკლმა 7-დან 4 ორქულიანი, 6-დან 2 სამქულიანი და 4-ივე საჯარიმო ჩააგდო.

ბაჰჩეშეჰირმა 17 მოგება და 11 მარცხი მოაგროვა და მე-6 ადგილზე იმყოფება, მომდევნო შეხვედრა კი სტუმრად, ტურკ ტელეკომთან გამართავს.

ხელბურთელთა ნაკრები რუმინეთში გაემგზავრა

საქართველოს ხელბურთელ ქალთა ახალგაზრდული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე გაემგზავრა. რუმინეთის ქალაქ ნაპოკაში, 23-25 მარტს მასპინძლების, ხორვატიის, უკრაინისა და საქართველოს ნაკრებები ითამაშებენ. ფინალურ ეტაპზე 2 საუკეთესო გუნდი გადის.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ სპორტკომპლექს არენაში, სადაც გუნდი ემზადებოდა, მოაწყო ნაკრების პრეზენტაცია, რომელსაც დაესწრნენ და გუნდს გზა დაულოცეს კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხელ გიორგაძემ, მინისტრის მოადგილემ, შალვა გოგოლაძემ, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტმა, ელგუჯა ბერიშვილმა და გენერალურმა მდივანმა, ემზარ ზენაიშვილმა.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:

მეკარეები: ანა ვარდიშვილი (მამული), ქრისტინე ჯავახია (იდმან აკადემიასი, აზერბაიჯანი);

მოთამაშეები: ანა ჩხაიძე (ქარიშხალა), ქეთი იაშვილი, ანა ყველაშვილი, ელენე ჯავახიშვილი, ნინო შახულოვი (ყველა მამული), ქეთი კუნელაშვილი (გრანოლერსი, ესპანეთი), ელისაბედ ჩხაიძე (პეგასი), ქეთევან ვენეცკი (იდმან აკადემიასი, აზერბაიჯანი), მარიამ მიხელიძე, თამთა თეთრაშვილი (ორივე ყვარელი), მედეა ჩოხელი (მიდტიულანდი, დანია), ჯულია ჩირგაძე (წყალტუბო).

პერესი რუმენიგეს ესაუბრა

მადრიდის რეალის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა, მიუნხენის ბაიერნის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარეს, კარლ-ჰაინც რუმენიგეს პერსონალურად შეატყობინა, რომ ესპანური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, სადაც მოხსენებული იყო, რომ რეალი უკვე შეუთანხმდა გერმანული კლუბის შემტევ რობერტ ლევანდოვსკის ახალ აგენტ პინი ზაჰავის და პოლონელთან 2-წლიან ხელშეკრულებაზე შეთანხმდნენ, აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს.

პერესმა განაცხადა, რომ არათუ ხელშეკრულება, არამედ ლევანდოვსკის აგენტსა და ესპანური კლუბის წარმომადგენლებს შორის კონტაქტიც კი არ დამყარებულა. პერესმა დაამატა, რომ პოლონელი თავდამსხმელის მადრიდულ კლუბში გადასვლის საკითხი ამ მომენტისათვის არც კი განიხილება.

პერესისათვის მნიშვნელოვანი იყო უჩვეულო ნაბიჯის გადადგმა იმისათვის, რომ პირადად დაკავშირებოდა რუმენიგეს, რათა შეენარჩუნებინა კარგი ურთიერთობები 2 ევროპულ გიგანტს შორის, მიუხედავად ჩემპიონთა ლიგაზე მათი ხისტი კონკურენციისა.

მანჩესტერელები მოურინიოს წინააღმდეგი არიან

მანჩესტერ იუნაიტედის მარცხენა მცველი ლუკ შოუ ამ დრომდე ვერ ახერხებს გუნდის შემადგენლობაში თავის დამკვიდრებას და მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს ნდობის მოპოვებას.

ამის დასტური იყო კიდევ ერთი ფაქტი, ინგლისის ასოციაციის თასის შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრილმა შოუმ მოედანზე მხოლოდ 45 წუთი გაატარა, მატჩის მეორე ნახევარში კი, ეშლი იანგმა ჩაანაცვლა. მიზეზად მოურინიომ პრესკონფერენციაზე შოუ არადამაკმაყოფილებელ თამაშში დაადანაშაულა და შეცვლის მიზეზადაც სწორედ ეს დასახელდა.

აღნიშნული მდგომარეობა ახალგაზრდა ფეხბურთელის გუნდიდან შესაძლო წასვლაზე მეტყველებს. თუმცა, როგორც ირკვევა, მანჩესტერის ფეხბურთელები შოუს სრულ მხარდაჭერას უცხადებენ და უკმაყოფილოები არიან იმით, თუ როგორ უსამართლოდ ექცევა პორტუგალიელი სპეციალისტი ინგლისელს.

– მათი აზრით, მოურინიოს ქმედებები შოუს მიმართ უსამართლოა და ფეხბურთელს შანსი უნდა მიეცეს საკუთარი თავის ბოლომდე წარმოსაჩენად – წერს ტელეგრაფი.

მიმდინარე სეზონში შოუმ იუნაიტედის შემადგენლობაში მხოლოდ 15 მატჩი ჩაატარა, აქედან 7 ინგლისის თასზე და ინგლისის ასოციაციის თასზე გამართულ შეხვედრებზე მოდის.

საქართველოს ნაკრებში ცვლილებაა, ესტონეთი უცვლელად მოდის



საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები წლის სადებიუტო ამხანაგური მატჩებისთვის 19 მარტიდან ემზადება. თბილისში მდებარე საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის ბაზაზე, ეროვნულმა გუნდმა 22 ფეხბურთელით ივარჯიშა. საწვრთნელ პროცესს ტრავმის გამო დავით ხოჭოლავა გამოაკლდა და ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, გუნდს უახლოეს ვარჯიშზე, პოლონური პოგონის მცველი ლაშა დვალი შეუერთდება.

საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა ამხანაგურ მატჩებში:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანჟი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (რიუ ავე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გიორგი ნავალოვსკი (სკა ხაბაროვსკი, რუსეთი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი, (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), ვაკო გვილია (ლუცერნი, შვეიცარია), გიორგი აბურჯანია (სევილია, ესპანეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), გიორგი მერებაშვილი (პლოკი, პოლონეთი), გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი), ჯაბა ჯიღაური (ორდაბასი, ყაზახეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია), ნიკა კაჭარავა (კორონა, პოლონეთი), ბაჩანა არაბული (ბალმაზუივაროში, უნგრეთი).

საქართველოში ჩამოსვლამდე ესტონეთის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მარტინ რეიმმა შეკრებაზე გამოძახებულთა ვინაობა დაასახელა.

ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, რეიმის სია ასეთია.

მეკარეები: მიხელ აკსალუ (სეინაიოკი, ფინეთი), მარკო მეერიტსი (ვაასა, ფინეთი), ანდრეას ვაიკლა (კრისტიანსუნდი, ნორვეგია);

მცველები:რაგნარ კლავანი (ლივერპული, ინგლისი), დმიტრი კრუგლოვი, იგორ მოროზოვი (ორივე ლევადია), ტაიო ტენისტე (ბრანი, ნორვეგია), კაროლ მეტში (ბრედა, ჰოლანდია), კენ კალასტე (კორონა, პოლონეთი), არტურ პიკი (რუუემბეროკი, სლოვაკეთი), იონას ტამი (სარპრსბორგი, ნორვეგია), მადის ვიჰმანი, მარტენ კუუსკი (ორივე ფლორა), ტრევორ ელჰი (კალიუ);

ნახევარმცველები: ალეკსანდრ დმიტრიევი, მარტინ მილერი (ორივე ფლორა), კონსტანტინ ვასილიევი (პიასტი, პოლონეთი), სერგეი ზენიოვი (კრაკოვია, პოლონეთი), ჰენრი ანიერი (ლაჰტი, ფინეთი), ილია ანტონოვი (რუდარი, სლოვენია), სიიმ ლუტსი (ბოჰემიანსი, ჩეხეთი), მატიას კაიტი (როს ქაუნთი, შოტლანდია);

თავდამსხმელები: არტიომი დმიტრიევი (ლაჰტი, ფინეთი), ბრენტ ლეპიტსუ (კრისტიანსუნდი, ნორვეგია).

აურზაური რაგბის სამყაროში

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა რუმინეთი რომ დაამარცხა, მატჩის შემდეგ ორივე გუნდი ხარობდა. ჩვენები ევროპის ერთა თასისა და ანთიმოზ ივერიელის თასის მოგებას, ხოლო რუმინეთის ნაკრები – მსოფლიო თასზე გასვლას.

სწორედ რუმინელთა მსოფლიო თასზე გასვლა გახდა ბოლო დროის საკამათო საკითხი რაგბის სამყაროში.

საქმე იმაშია, რომ ესპანეთის ნაკრები ბოლო ტურში ბელგიას ესტუმრა, მსაჯად კი რუმინელი ვლად იორდეკესკუ იყო, რომელიც მატჩის შემდეგ გალახვას გადაურჩა. ესპანელებს მოგება აწყობდათ და ალბათ მოიგებდნენ კიდეც, რომ არა რუმინელი მსაჯის ქმედებები, რის შემდეგაც მისმა ქვეყანამ იხეირა და მსოფლიო თასზე ვლახები გავიდნენ.

რაგბული სოცმედია ურთიერთბრალდებათა ნიაღვარმა წალეკა:

ესპანეთი დოკუმენტურად ასაბუთებს, რომ ჯარიმათა ფარდობა უკიდურესად არათანაბარი (24:4) იყო. რუმინეთი ამტკიცებს, რომ იორდეკესკუ წესიერი კაცია და არაფერი უკადრებია.

ნეიტრალური ხალხი კითხულობს, თუ რად დანიშნა „რაგბი ევროპამ“ მაინცდამაინც რუმინელი რუმინეთის კონკურენტის გადამწყვეტ მატჩზე, და ამით განგებ რად დათესა ეჭვი.

ამ ეჭვის საფუძველს ისიც აძლიერებს, რომ „რაგბი ევროპის“ თავკაცი რუმინელი ოკტავიან მორარიუა, მაგრამ მისი ამალა ხელს ფრანგ პატრიკ რობენს ახოცავს, ვინც მსაჯებს ნიშნავს და ესპანეთის მიერ ერთი თვის წინ შეტანილ არზასაც არ ათხოვა ყური.

ყველაფერთან ერთად, სრულიად რაგბის სამყარო აღშფოთებულია იმით, რომ თამაშის ბოლოს ესპანელები მსაჯს მიეჭრნენ და ცემა დაუპირეს. საკითხს თვით „მსოფლიო რაგბი“ იძიებს, მაგრამ ყველა იმ აზრზეა, რომ რკენა არ გადათამაშდება და 2019 წლის „მსოფლიო თასის გახსნაზე იაპონიას რუმინეთი შეერკინება.

მოჩხუბრებს, რა თქმა უნდა, მკაცრად დასჯიან, ალბათ იორდეკესკუსაც ცოტა ხნით დააქვეითებენ. ჭორად ისიც დადის, რომ ვლადს შარში გახვევა არ სურდა, მაგრამ მსაჯობა აიძულესო.

ბელგიაც უმსაჯოდ, მარტო თავისი შნოთი ესპანეთის მომრევი ვერ იყო, ხოლო სტუმრები თავიდანვე შარზე იყვნენ და მსაჯს ედავებოდნენ, ხოლო ეს პასუხად აჯარიმებდა.

მსაჯის წაყრუებით, ბელგიელებს ხელ-ფეხიც მეტად გაეხსნათ, ესპანელები კი წახდნენ და 0:15 ჩამორჩნენ. მათი მწვრთნელი, სანტიაგო სანტოსი ჩივის, მსაჯმა თამაში სულ არ გვაცალაო, და იმაზეც მოთქვამს, რომ ლამის დაიკარგა ესპანეთში რაგბის აყვავების უნიკალური შანსი, რადგან იქაურები გულს აიცრუებენ სპორტზე, რომელშიც ასეთი უსამართლობა ხდება.

ზოგადად საერთაშორისო რაგბი და მეტადრე ჩვენი დონისა, მართლაც უვარგისად იმართება და მაგის გამო ნელა ვითარდება.

სალაჰი-ფირმინიო-მანე ყველაზე შემტევი ტრიოს სახელისთვის იბრძვის

ლივერპულის შემტევი ტრიო, მოჰამედ სალაჰი, რობერტო ფირმინო და სადიო მანე საოცარ ნიშნულს უახლოვდებიან. სამეული შესანიშნავ ფორმაშია და მეტოქის მცველებისთვის ნამდვილ კოშმარს წარმოადგენს.

სალაჰმა უოტფორდის კარში გატანილი 4 გოლით საკუთარი მონაგარი 36-მდე გაზარდა (ყველა ტურნირზე), ხოლო ფირმინოს მიერ გატანილი გოლი 23-ე აღმოჩნდა მიმდინარე სეზონში. რაც შეეხება მანეს, ის ჯერ შედარებით მოკრძალებულ ციფრებს სჯერდება. მის ანგარიშზე მხოლოდ 14 გოლია. სამივემ ჯამში კი, 73-ჯერ შეარხიეს მეტოქის კარის ბადე.

ამ მხრივ ტრიომ უკან მოიტოვა 1985-86 წლების ლივერპულის შემტევები – იან რაში (33), იან მოლბი (21) და პოლ უოლში (18), რომლებსაც ჯამში 72-ჯერ ჰქონდათ მეტოქის კარი აღებული.

სალაჰმა, მანემ და ფირმინომ ასევე უკან მოიტოვეს ინგლისის ჩემპიონები – 1989-90 წლების ლივერპულში მოასპარეზე რაშის, ბარნსის და ბერდსლის (70) ტრიო, ახლა კლუბის ისტორიაში მათზე მაღლა მხოლოდ 3 ტრიო დგას: 1963-64 წლებში როჯერ ჰანტმა, იან ჯონმა და ალფი ეროუსმიტმა, ხოლო 1954-55 წლებში ჯონ ევანსმა, ბილ ლიდელმა და ერიკ ანდერსონმა 74-74 გოლი გაიტანეს.

ლიდერები კი კვლავ ჰანტი (42) და ჯონი (22) არიან, თუმცა ამჯერად ჯიმი მელისთან (13) ერთად, რომლებმაც 1961-62 წლებში 77-ჯერ შეარხიეს მეტოქეთა კარის ბადე.

მერსისაიდელთა ამჟამინდელ შემტევებს მხოლოდ და მხოლოდ 5 გოლიღა სჭირდებათ იმისთვის, რომ ლივერპულის ისტორიაში საუკეთესო შემტევი ტრიოს სახელით შევიდნენ და ეს იოლად შესასრულებელი მისია ჩანს.

მაღალანაზღაურებადმა მეძავმა საკუთარ ცხოვრებაზე ისაუბრა

ამერიკელი ალისა ლიტლი საკუთარ თავს შეერთებული შტატების ყველაზე მაღალანაზღაურებად მეძავად მიიჩნევს. მან საკუთარ ცხოვრებაზე, ერთ-ერთ ცნობილ გამოცემასთან ისაუბრა.

20 წლის ალისას თქმით, მისთვის სექსინდუსტრიაში საუკეთესოა მათ შორის, რაც კი მის ცხოვრებაში ყოფილა. ორი წლის განმავლობაში მან საკუთარი მომსახურებით თითქმის მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

ამავე დროს, ლიტლის თქმით, მას ბევრის დახარჯვაც უწევს. წელიწადში თითქმის 2500 დოლარი უჯდება პრეზერვატივები და ზეთები. გარდა ამისა, აუცილებელია მანიკური და სავარჯიშო დარბაზში სიარული ფორმის შესანარჩუნებლად. მისი დღე კი დილის შვიდ საათზე იწყება.

საკუთარ სამუშაოზე საუბრისას ლიტლი განმარტავს, რომ ჩვეულებრივ ბორდელში დაახლოებით 20 ლამაზი გოგონა მუშაობს. ისინი დღე-ღამეში 12-14 საათის, კვირაში ხუთი დღის განმავლობაში ელოდებიან, რომ ისინი მამაკაცებმა შეარჩიონ. კლიენტებს შორის ბევრია სტუდენტი და გადამდგარი სამხედრო. მათ გარდა ლიტლი ჩვეულებრივ ოჯახურ წყვილებსაც ემსახურება, ასევე ქალწულებს, მარტოხელა ქალებს, განქორწინებულ მამაკაცებს და ქვრივებს.

თავისუფალ დროს ლიტლი ცდილობს წიგნებისა და ონლაინ-ლექციების დახმარებით გარკვეულ ცოდნას დაეუფლოს ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიასა და სექსუალურობის სხვადასხვა ასპექტებში გაერკვეს.

ალისას ოცნებაა, რომ პროსტიტუცია ამერიკის ყველა შტატში იქნეს ლეგალიზებული და ასევე მის მშობლიურ ირლანდიაშიც, რომელიც მან ხუთი წლის ასაკში დატოვა. მისი თქმით, ოჯახი სრულიად მხარს უჭერს მის არჩევანს. მათ იციან, რომ მისი სამუშაო კანონიერი და უსაფრთხოა.

ზოოპარკში მაიმუნმა ქალს მკერდი გაუშიშვლა

ტაილანდის ერთ-ერთ ზოოპარკში მაიმუნი დამთვალიერებელ ქალბატონს შიახტა და მისთვის ზედატანის გაძრობა სცადა.

მაიმუნი ამერიკელ ტურისტ ბრიტანი ბოუმენს ჯერ ფეხზე შეასკუპდა, შემდეგ უფრო ზევით აცოცდა, ზედატანს ჩაებღაუჭა და ქვევით დაქაჩა.

– ამ შემთხვევამ იქ მყოფები ისე აცინა, რომ ზოგიერთს ცრემლებიც კი წამოსცვივდა თვალებიდან, – განაცხადა გოგონამ და იქვე დაამატა, რომ ძალიან შეშინდა და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მაიმუნი მისთვის ზედატანის გაძრობას შეეცდებოდა.

ზოოპარკის თანამშრომლის თქმით, შესაძლოა მაიმუნს რძე უნდოდა და ასე შეეცადა, ქალის მკერდამდე მიეღწია.

მოსამართლემ კარი დაამტვრია და ისე დატოვა სასამართლოს დარბაზი

მოსამართლემ ამერიკის ორეგონის შტატიდან, რომელიც ჩაკეტილი სასამართლო დარბაზიდან თავის დაღწევას ცდილობდა, შენობას სამი ათასი დოლარის ზარალი მიაყენა.

მოსამართლე სიუზი ნორბი სასამართლოს დარბაზში დასვენების დღეს მივიდა და შიგნით შესვლის შემდეგ შემთხვევით კარი ჩაეკეტა. მისი გასაღები და მობილური ტელეფონი კაბინეტში დარჩა, ამიტომ მან ვერც კარის საკეტის გახსნა შეძლო და ვერც დასახმარებლად მოუხმო ვინმეს.

ნორბიმ განგაშის ღილაკს დააჭირა თითი, მაგრამ მის ზარს არავინ გამოხმაურებია. ასევე უპასუხოდ დარჩა ელექტრონული წერილები, რომლებიც მან სასამართლო დარბაზში განთავსებული კომპიუტერის საშუალებით შერიფის თანაშემწეებს გაუგზავნა. მაშინ მან კარის დასამტვრევად ხის მასიური სკამი გამოიყენა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნორბიმ შერიფის ერთ-ერთი თანაშემწისგან პასუხი მიიღო, რომელშიც ეწერა, რომ მას გასაღები არ ჰქონდა, მაგრამ დაპირდა, რომ დაეხმარებოდა. ამის მიუხედავად, მცირე ამოსუნთქვის შემდეგ მოსამართლემ კიდევ რამდენჯერმე დასცხო სკამი კარს. მალე შერიფის თანაშემწე მივიდა და მოსამართლე ქალბატონი დარბაზიდან გამოიყვანა.

ნორბიმ ჩაკეტილ სასამართლო დარბაზში მინიმუმ ორი საათი გაატარა. ამ დროში მან მოასწრო დაეზიანებინა კარი და მოერყია მარმარილოს კარნიზი. ამ ყველაფრის შეკეთება სამი ათასი დოლარი დაჯდება.

პოლიციელმა ჩინელ ქალს ტყუპისცალი აპოვნინა

ჩინეთის ჩეჟეზიანის პროვინციის ქალაქ ხენჩჟოუში პოლიციის თანამშრომელი ქალს ტყუპისცალის პოვნაში დაეხმარა, რომელიც მას 36 წლის განმავლობაში არ ჰყავდა ნანახი.

ავტობუსების სადგურის თანამშრომელმა ვან ხუეიმ პოლიციელს განუცხადა, რომ მას ჰყავდა ტყუპისცალი და, მაგრამ მისმა მშობლებმა ხელმოკლეობის გამო დაბადებიდან 16 დღის შემდეგ დები გააშვილეს. რამდენიმე თვის წინ ავტობუსის ერთ-ერთმა მგზავრმა ხუეის უთხრა, რომ ხენჩჟოუში ნახა ქალი, რომელიც მას გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა. ამის შემდეგ მან ტყუპისცალის მოძებნა გადაწყვიტა.

პოლიციელმა გადაწყვიტა ქალს დახმარებოდა. საპასპორტო ბაზაში ხენჩჟოუში 280-ზე მეტი ქალი აღმოჩნდა, რომლებიც იმავე დღეს იყვნენ დაბადებულები, რომელშიც ხუეი იყო დაბადებული. მან ფოტოსურათებს გადახედა, მათ შორის ქალის მსგავსი შეარჩია და დაუკავშირდა. ქალმა მას დაუდასტურა, მას დაკარგული ტყუპისცალი და ჰყავდა, რომლის შესახებაც მისთვის არაფერი იყო ცნობილი.

მეორე დღეს დები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. ახლა უკვე ისინი ერთად შეეცდებიან თავიანთი ბიოლოგიური მშობლების მოძებნას.

ბავშვებმა ტელეფონის ჩამორთმევისთვის დედაზე შური იძიეს

აშშ-ში ბავშვებმა მოიფიქრეს, თუ როგორ ეძიათ შური დედაზე, რომელიც მათ ღამით ტელეფონებს ართმევდა და ეს ყოველივე ტვიტერში გაავრცელეს.

მიშელ გიგლერი, ორეგონის შტატიდან, თავის ოთხ შვილს უფლებას არ აძლევს ტელეფონებით ღამით ისარგებლონ. ის მათ ტელეფონებს და პლანშეტებს ართმევს და თავის ოთახში კეტავს.

ასეთი მდგომარეობით უკმაყოფილო ბავშვებმა მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, რომ მაღვიძარა მაღალ ხმაზე ღამის სხვადასხვა დროზე დაეყენებინათ. მეორე დილით ამის თაობაზე ინფორმაცია გიგლერმა ტვიტერში განათავსა და ბავშვებს „პატარა ნაძირლები“ უწოდა. მისმა ტვიტმა 157 ათასი მოწონება და 44 ათასი გაზიარება მიიღო.

ამის მიუხედავად ზოგიერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა გიგლერის აღზრდის მეთოდი მეტისმეტად მკაცრად ჩათვალა. მათი აზრით, ამის გამო მისი შვილები მატყუარები გაიზრდებიან და დედას შეიძულებენ. თუმცა ამ ყოველივემ ქალს აზრი ვერ შეაცვლევინა და აღზრდის საკუთარი მეთოდის ერთგული დარჩა.

19 მილიონის მომგებმა ამერიკელმა ბანკების ძარცვა დაიწყო

ამერიკელი, რომელმაც ლატარიაში მილიონები მოიგო, 20 წლის შემდეგ ბანკების მძარცველი გახდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

55 წლის ჯეიმს ჰეისი ბანკებზე 11 თავდასხმაშია ეჭვმიტანილი, რომლებიც 2017 წელს იქნა ჩადენილი. როგორც წესი, ის მოლარეს აწვდიდა წერილს გაფრთხილებით, რომ ის პისტოლეტითაა შეიარაღებული და ფულს ითხოვდა. ასეთი სახით მან 40 ათასი დოლარი გაიტაცა.

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ჰეისს მისი ჩამოძონძილი იერის გამო კოდური სახელი „ძველი ბანდიტი“ მიანიჭა. მას მედიაში კი მას „ბანდიტი თ ჩრუისერ“ შეარქვეს, ვინაიდან მან რამდენიმე ძარცვის დროს ამ მარკის ავტომობილი გამოიყენა.

რამდენიმე დღის წინ ჰეისი გამოძიებასთან გარიგებაზე წავიდა და ოთხ ძარცვაში თავი დამნაშავედ ცნო. გარიგების პირობებით, მას ჩამოერთმევა თ ჩრუისერ-ი, რომელიც მან ნაძარცვი ფულით შეიძინა.

1998 წელს ჰეისმა ლატარიაში 19 მილიონი დოლარი მოიგო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, განქორწინების შემდეგ, ამ თანხის ნახევარი მის ყოფილ მეუღლეს ერგო. ჰეისს ექვსი მილიონი დოლარი დარჩა, მაგრამ იმ დროისთვის ის ჰეროინს მიეჩვია და ნარკოტიკებზე კვირაში მინიმუმ ათას დოლარს ხარჯავდა. ჰეისი 2017 წლის ოქტომბერში დააკავეს, იმ მომენტისთვის ის ავტოფარეხში ცხოვრობდა.

ძაღლის გამო პილოტი იძულებული გახდა, თვითმფრინავი დაესვა

ამერიკის ავიაკომპანია იუნატედ ეარლაინის თვითმფრინავმა მის ბორტზე ძაღლის აღმოჩენის შემდეგ, რომელიც იქ შეცდომით აღმოჩნდა, იძულებითი დაშვება განახორციელა. თვითმფრინავი ასრულებდა რეისს ნიუარკი – სენტ-ლუისი.

ცხოველი ოჰაიოს შტატის ქალაქ აკრონში ჩაიყვანეს და ის სრულიად უვნებელი დაუბრუნეს მის პატრონს. კომპანიაში განაცხადეს, რომ თვითმფრინავის ყველა მგზავრი ამ ინციდენტისთვის კომპენსაციას მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ ერთ კვირაში ეს უკვე მესამე ინციდენტია, რომელიც ამ ავიაკომპანიის თვითმფრინავში ძაღლებს უკავშირდება.

ბუკინისტი შეისყიდის

XVIII-XIX საუკუნის ძველებურ წიგნებს

1500 ლარად

ხელნაწერებს, გრავიურებს, ჟურნალებს, პლაკატებს, ბარათებს, საბავშვო წიგნებს, 1945 წლამდე საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუებს 200 ლარად, ასევე ვერცხლის ჭურჭელს.

591-75 35 38

ასტროპროგნოზი

22 მარტისთვის

ვერძი – თითქოს დაბნეული ხართ და ემოციებს ჰყვებით, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მობილიზებას ახერხებთ. **კურო** – მართებული გადაწყვეტილების მიღებაში მეგობრები გეხმარებიან. მშვენიერი პერიოდი გაქვთ მატერიალური კუთხით. **ტყუპები** – მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. ნუ აჩქარდებით, მშვიდად და დაფიქრებით იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – მოვლენები არ გაგაზვიადოთ. კომპრომისზე წასვლა დღეს გამართლებულია. **ლომი** – დათმობა, მიმტევებლობა თქვენვე წაგადგებათ. ერიდეთ ქალაქგარეთ გასვლას. **ქალწული** – ყურადღებას ნუ მიაქცევთ ყურმოკრულ ამბებს. მიღებულ ინფორმაციას თვალდახუჭული არ ენდოთ. **სასწორი** – ცოდნის არეალის გასაფართოებლად შესაფერისი დღეა. გაეცანით ახალ ამბებს, ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი. **ღრიანკალი** – დრო სწორად გაანაწილეთ. დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. ავანტიურაში ნუ ჩაერთვებით. **მშვილდოსანი** – მიზანს მიაღწევთ, თუ რაციონალურად იმოქმედებთ. ოჯახში სიმშვიდე სუფევს. **თხის რქა** – ანგარიში გაუწიეთ გარშემომყოფთა ინტერესებს. ეგოიზმი დათრგუნეთ. ისწავლეთ საჭირო დროს გაჩუმება. **მერწყული** – ვიღაცა კატათაგვობანას გეთამაშებათ. იოლად არავის მიენდოთ. პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **თევზები** – ფსიქოემოციურ მდგომარეობას ფიზიკური მუშაობა გამოგიკეთებთ. ასევე წაგადგებათ შინაურ ცხოველებთან და ბავშვებთან ურთიერთობა.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯროსვოოდი ბ



შვეულად: 1. ავსტრიელი კომპოზიტორი; 2. რაიმე მოქმედების აღმძვრელი მიზეზი; 3. ქართული მშრალი სამარკო ღვინო, რომელიც იწარმოება 1886 წლიდან, მინიჭებული ჰქონდა პირველი ნომერი; 4. ბულგარეთის პირველი დედაქალაქი; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 9. საზეიმო სიმღერა, სახელმწიფოს სიმბოლო; 10. ებრაელი მწერალი, რომან „ფეთხაინის“ ავტორი; 14. სპორტის სათამაშო სახეობა; 15. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 16. უბანი თბილისში; 19. წვრილმანი, ფორმალური წესების დამცველი ადამიანი; 20. დაბალი ხარისხის შაქარი; 21. ძრავიანი ველოსიპედი.

თარაზულად: 6. სახელმწიფოს ძირითადი კანონი; 7. სამეგრელოსა და ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. თურქული აბანო; 11. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 12. მთიანეთი ციმბირის სამხრეთში; 13. გადასახდელსახურავიანი ძველებური ეტლი; 17. გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი; 18. ქართველი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 22. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესების კანონების კრებული; 23. გიგანტური აფრიკული ხე; 24. გემის ოფიციანტი; 25. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯროსვორდების პასუხები:

ჯროსვორდი ა

შვეულად: 1. მარჩილი; 2. ნაირობი; 3. ამქარი; 4. ჩექმა; 5. აბრსკილი; 7. გოა; 11. შტამბი; 15. კნეთელი; 16. ბისტრო; 17. იოკაი; 18. ატაშე; 20. ტუმბო; 22. ლაგი.

თარაზულად: 6. „ალდაგი“; 8. ვანდომი; 9. ნექტარი; 10. ჩარდაში; 12. „პერიე“; 13. არიკი; 14. მაშარაბი; 19. პრელატი; 21. სოფელი; 23. ტაქსა; 24. ბადაგი; 25. ალგებრა; 26. თეოლოგია.

ჯროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხარფუხი; 2. აციდოზი; 3. სიგნატურა; 4. ცაცხვი; 5. მიზერი; 9. ვოლვო; 10. აფალინა; 14. ფილანტროპი; 15. „ნოვარტისი“; 16. ფრანკი; 19. წუმწუმა; 20. ლოკალი; 21. „ჰამერი“.

თარაზულად: 6. ჰალუცინაცია; 7. რეგალია; 8. ეფენდი; 11. ბოკვერი; 12. ბზიფი; 13. „რუსთავი“; 17. პოლიფონია; 18. „თურაშაული“; 22. ბორჯომი; 23. კრამიტი; 24. ამირბარი; 25. კირჩხიბი.

ზურაბ ვადაჭკორიას ვარსკვლავი გაუხსნეს

ილუზიონისტ ზურაბ ვადაჭკორიას გარდაცვალების შემდეგ დიდი საკონცერტო დარბაზის წინ სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს.

ილუზიონისტი 57 წლის ასაკში ერთწლიანი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მას ინსულტმა დაარტყა და უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ვარსკვლავის გახსნამდე კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ზურაბ ვადაჭკორიას მეგობრებმა მიიღეს. მათ შესრულებული სიმღერები მეგობრის ხსოვნას მიუძღვნეს. ილუზიონისტისადმი მიძღვნილ კონცერტს მისი ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ.

ზურაბ ვადაჭკორიას ვარსკვლავი არა კულტურის პალატამ, არამედ რეზი ახრახაძემ გახსნა:

– კიდევ ერთი ლამაზი საღამო ვაჩუქეთ თბილისს. ქართველ ილუზიონისტსა და ყველასათვის საყვარელ ზურაბ ვადაჭკორიას ხსოვნას მეგობრებმა პატივი მიაგეს და თბილისელ მსმენელს არაჩვეულებრივი საღამო აჩუქეს.

მსახიობი ნინო ჩხეიძე 99 წლის გახდა

მსახიობი ნინო ჩხეიძე 99 წლის გახდა. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი უშანგი ჩხეიძის დაა. იგი ათეული წლების განმავლობაში იდგა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და რეჟისორების მიერ მინიჭებულ როლებს თამაშობდა. მართალია მას არასოდეს უთამაშია დედოფლები, მაგრამ ერთი მცირე ეპიზოდური როლითაც კი უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს.

იუბილარი სინანულით იხსენებს, რომ თავისი ძმა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე არ უნახავს. როცა ნინიკო ჩხეიძე ამ თეატრში მიიღეს, მისი ძმა მარჯანიშვილის თეატრიდან უკვე წასული იყო. თეატრის პარალელურად, მსახიობი კინოშიც მოღვაწეობდა.

ნინო ჩხეიძე არ მალავს, რომ ძალიან ენატრება თეატრი და სცენა. მან მარჯანიშვილის თეატრში 46 წელი იმუშავა. ათეული წლებია თეატრის სცენაზე ფეხი არ დაუდგამს. ბოლოს ედუარდო დე ფილიპოს „ხელშეკრულებაში“ მეზობლის როლი ითამაშა და მას შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში როლი აღარ მიუღია.

99 წლის იუბილე მსახიობს რადიო ჟურნალისტმა ივანე ჯაფარიძემ მიულოცა:

– ნინო ჩხეიძეს ვულოცავ დაბადების 99 წლისთავს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და 100 წლისთავის სრულიად საქართველოში აღნიშვნას.

უშანგის დას ეკუთვნის საქართველოს მოფერება ისე, როგორც მე მეფერება ამ ფოტოზე...

კომპოზიტორი ლილი შავერზაშვილი გარდაიცვალა

ქართველი კომპოზიტორი ლილი შავერზაშვილი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. იგი ცნობილი პროდიუსერის და ტელეწამყვანის ნოე სულაბერიძის დედაა. დედების დღისადმი მიძღვნილ „პრაიმშოუში“ ნოემ დედას ყველაზე ემოციურად მიულოცა ეს დღე და გამოჯანმრთელება უსურვა.

ანრი ჯოხაძე:

– დავკარგეთ უძვირფასესი ქალბატონი, კომპოზიტორი ლილი შავერზაშვილი. ჩემო ნოე, იშვიათად მინახავს ასეთი დედაშვილობა, შენი მწუხარების მოზიარე ვარ, მეგობარო.

სამგლოვიარო განცხადებები

გიგლა ძანძავა და მერი ბერაძე ოჯახით დიდი გულისტკივილით ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ოჯახის მეგობრის

ჯუმბერ გალაქტიონის ძე კაკუბავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ფიტარეთის მონასტრის მახლობლად უცნობი სამონასტრო კომპლექსი აღმოაჩინეს

ფიტარეთის მონასტრის მახლობლად დღემდე უცნობი სამონასტრო კომპლექსი გამოვლინდა. აღმოჩენის შესახებ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ცნობა კომპანია არემჯისგან მიიღო, რომლის სპეციალისტებმაც არქიტექტურულ ობიექტს ბნელი ხევის ტერიტორიაზე სამთო მინაკუთვნის ფართობიდან 1200 მეტრის დაშორებით, გეოლოგიური-სამძებრო სამუშაოებისას ტყეში მიაგნეს.

სააგენტოს ხელოვნებათმცოდნეების, ისტორიკოსებისა და არქიტექტორების ჯგუფი ადგილზე ვითარებას იმ მკვიდრ მცხოვრებლებთან ერთად გაეცნენ, რომელთაც ნამონასტრალის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელი იყო ჰქონოდათ.

დღევანდელი მონაცემებით, ნამონასტრალი ფიტარეთის მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, რომელიც ტყით დაფარული ქედის თხემზეა განლაგებული. ამ მონასტრის შესახებ ცნობები არ მოიპოვება არც ისტორიულ წყაროებსა და არც სამეცნიერო ლიტერატურაში. გაირკვა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც მისი სახელი უცნობი იყო.

სპეციალისტების შეფასებით, მონასტერი ძლიერაა დანგრეული, გარშემო მიმობნეულია არქიტექტურული დეტალები, ძველი სტელების ფრაგმენტები. სამშენებლო ნაშთები ადგილზევეა დაცული და მათი დიდი ნაწილი მიწითაა დაფარული. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მონასტრის უძველესი ნაგებობა VIII-IX საუკუნეების დარბაზული ეკლესია უნდა ყოფილიყო. 8.40 მეტრი სიგრძისა და 5 მეტრი სიგანის ზომის ეკლესია კლდის ნამტვრევი ქვითაა ნაგები. მის გამორჩეულ ხუროთმოძღვრულ ელემენტს წარმოადგენს ნახევარწრიულად შვერილი აფსიდა.

ეკლესიის კედლებში ჩაშენებულია VI საუკუნის ქვაჯვარათა ორნამენტირებული ფრაგმენტები, ერთ-ერთ მათგანზე ნიამორის რელიეფური გამოსახულებაცაა; კედლებში ასევე ჩადგმულია ბრტყელი ფილები, რომელიც სავარაუდოდ საფლავის ქვებს უნდა წარმოადგენდნენ. მათზე წრეში ჩაწერილი ტოლმკლავა ჯვრებია გამოკვეთილი.

ეკლესიის სამხრეთ კედელში გაჭრილ კარს ნათალი ქვის გრძელი არქიტრავი ფარავს. ეკლესია ბრტყელი და ღარიანი კრამიტით იყო გადახურული, კედლებს აბოლოებდა ნათალი ქვის კბილანებიანი კარნიზები, რაც შენობის ადრეულობის ერთ-ერთი ნიშანია.

სავარაუდოდ XIII საუკუნეში, ეკლესიას სამხრეთიდან მიშენებული აქვს ნათალი ქვით ნაგები კარიბჭე, რომლის სტრუქტურას ორკალთა გადახურვა აქვს. აღმოსავლეთ ეკლესიის კედლებზე მლოცველთა სხვადასხვა პერიოდის მინაწერებია ამოკაწრული.

ეკლესიის ირგვლივ შეინიშნება გალავნის ნანგრევები და სენაკების კვალი.

ვინაიდან ნამონასტრალი სამეცნიერო კუთხით სრულიად შეუსწავლელია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო უპირველეს ამოცანათა რიგში ახლად გამოვლენილი ნაგებობებისა და მიდამოს არქეოლოგიურ და სახელოვნებათმცოდნეო კვლევას უზრუნველყოფს. სამეცნიერო შესწავლის შემდეგ კი უწყება სამონასტრო კომპლექსის კონსერვაციაზე იზრუნებს. მანამდე კი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს უკვე დაწყებული აქვს გამოვლენილი ობიექტისთვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების პროცედურები.

განო მელითაური შეურაცხყოფის და ძალადობის მსხვერპლი გახდა

მსახიობ კოტე თოლორდავას მეუღლე განო მელითაური შეურაცხყოფის და ძალადობის მსხვერპლი გახდა. განომ ინფორმაცია სოციალურ ქსელში გაავრცელა და იმ მანქანის ნომერიც გაასაჯაროვა, რომლითაც მოძალადეები იყვნენ.

განო მელითაური:

– საშინელი შეურაცხყოფის და ძალადობის მსხვერპლი გავხდი შუადღის პირველ საათზე დღეს. ძლივს გამოვედი მდგომარეობიდან!

იძებნება ტოიოტა კამრი ნომრით ვვ 028 რრ. ამ მანქანით მყოფი ორი შუახნის 40 წლამდე არმისული ბიჭი იძებნება სასწრაფოდ! ერთს აქვს ლურჯი თვალები და არის მაღალი! მეორე არ მახსოვს, რადგან საშინლად დასტრესილი და შეშინებული ვარ! ან ცოლები არ გყავთ, ან შვილები, ან დედები და მამები?!

სამარცხვინო ქვეყანა გავხდით! შუა ქუჩაში სავაჭრო ცენტრ ქარვასლასთან სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებენ დღისით, მზისით, დაახლოებით 13:10 წუთზე დღეს და ნულია გარშემომყოფთა მხარდაჭერა! 18-20 წლის ბიჭები დგანან, სემიჩკას იფურთხებიან და სიცილს იკავებენ, როცა ორი უზრდელი ჯერ მანქანას არ მაჩერებინებს სადგომზე და მერე დედას მაგინებს ყველა ბრუნვაში და მეჭიმება! სად გაქრა კაცობა, ადამიანობა, სოლიდარობა, ზრდილობა?!

კარგად დაიმახსოვრეთ და მომაძებნინეთ ეს არაკაცები! სახელებს და გვარებს ვერ ვიგებ! ერთი, რაც გაირკვა, არიან „თანამშრომლები“!

მოვითხოვ, სახალხოდ, იგივე ადგილას მომიხადონ ბოდიში!

ასეთი დაუცველი ჩემს ცხოვრებაში არასოდეს ვყოფილვარ! ქუჩის ძაღლს არ დაველაპარაკები ასე, რომელიც საკბენად გამოიწევს, ამდენი დამცირება პირველად მივიღე! და რადგან მითხრეს, რომ არიან უწყების თანამშრომლები, აღარ ვიცი აქვს თუ არა აზრი მივმართო პოლიციას! რომ მოვთხოვე იდენტიფიცირება, მასხრად ამიგდეს!

ესაა ჩვენი ნაქები შსს? ეს არის ნაქები პოლიცია? რატომ, ვინ შთააგონა მათ რომ „ქსივები“ დაიცავთ?!

მყავს სამი შვილი და ამ ნაძირლების არ მეშინია! ისეთი ცივსისხლიანები იყვნენ, არ გამიკვირდება, სახლთან დამხვდნენ ჩუმად. ასე რომ, იცოდეთ, თუ რამე შემემთხვა, ამ მანქანას უნდა მიაკითხოთ!

მინდა, რომ მალე ვიპოვო ეს მოძალადე არაკაცები და თვალებში ჩავხედო!

დათო ხუჯაძე: „სამშობლოს მიმართ სიყვარულში ნურავინ ნუ შემეჯიბრება!“



მომღერალი დათო ხუჯაძე მიმართავს ქართველ საზოგადოებას და მოუწოდებს, რომ პატრიოტობასა და სამშობლოს სიყვარულში ტყუილად არ შეეჯიბრონ. ამ განცხადების გაკეთების მიზეზი კი მომღერლის ბოლო ინტერვიუ გახდა, სადაც დათომ განაცხადა, რომ აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემა დიდი ხნის წინ დაიწყო და ეს ტერიტორიები პუტინს არ წაურთმევია.

დათო ხუჯაძე:

– მინდა ვთქვა ჩემი ბოლო ინტერვიუს თაობაზე. მე რაც ვთქვი, გავიმეორებ მეორეჯერ! იგივეს! ის ნაძირლობა რაც მოხდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, დაიწყო ძალიან დიდი ხნის წინ და ამაში ჩვენი მეზობელი ქვეყნის თითოეულ პრეზიდენტს თავისი წვლილი აქვს შეტანილი.

და ამ ახალი მოვლენების ფონზე აჯობებს, პრაგმატულები ვიყოთ, რომ ბოლო მოეგოს ამ უსამართლობას, რაც, ადრე თუ გვიან, მოხდება! რაშიც ეჭვი არ მეპარება!

რაც შეეხება იმას თუ მე ვინ ვარ! პატრიოტობაში და სამშობლოს მიმართ სიყვარულში ნურავინ ნუ შემეჯიბრება. მე რაც გავაკეთე საზღვარგარეთ, მშობლიური ქართული ენით გავაკეთე და კიდე მეტს გავაკეთებდი, რაღაც-რაღაცეები რომ მეკადრა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

უკანასკნელი მამრი თეთრი მარტორქა დაიღუპა



კენიაში უკანასკნელი თეთრი მამარობითი სქესის მარტორქა მოკვდა. ამ ინფორმაციას ოლ პეჯეტის ნაკრძალის აკაუნტი ავრცელებს ტვიტერში.

თეთრი მარტორქა სახელად სუდანი 45 წლის იყო. რამდენიმე დღის წინ ნაკრძალის ვეტრინარებმა მისი დაძინების გადაწყვეტილება მიიღეს, ვინაიდან ცხოველი ასაკობრივი დაავადებებით იტანჯებოდა: მისი კუნთები ატროფირებული იყო, ხოლო ძვლები ეშლებოდა. ექიმების თქმით, ბოლო დღეებში მარტორქის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, წამოდგომას ვეღარ ახერხებდა, ძალიან იტანჯებოდა.

ბოლო ინექციის წინ ექიმებმა ცხოველის გენეტიკური ნივთიერებები შეაგროვეს. მეცნიერებს ამ სახეობის გადარჩენის იმედი აქვთ. ისინი ხელოვნური განაყოფიერების და მდედრი მარტორქისთვის განაყოფიერებული კვერცხუჯრედის გადანერგვით შეეცდებიან ამის მიღწევას.

სუდანის დაღუპვის შემდეგ დადამიწაზე ამ სახეობის მხოლოდ ორი წარმომადგენელი დარჩა, მისი შვილი ნაჯინი და შვილიშვილი ფატუ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 მარტისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4401
- ევრო — 3.0003
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4239
- 100 რუსული რუბლი — 4.2328

ამინდის პროგნოზი 22 მარტისთვის

20 მარტიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

27 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

მყუდრო აგარაკის საიდუმლოება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

13 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

15 მარტიდან

100 ამბავი

მსოფლიო მონარქები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ვერატი: „ნეიმარის არყოფნა რეალთან ძალიან დაგვეტყო“

პსჟ-ს იტალიელმა ნახევარმცველმა მარკო ვერატიმ ნეიმარზე ისაუბრა და თქვა, რომ ნეიმარის გარეშე პსჟ იგივეა, როგორც მესის გარეშე ბარსელონა. ვერატის აზრით, ნეიმარი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

– ნეიმარის არყოფნა რეალთან ძალიან დაგვეტყო, რადგან

ის ჩვენი ლიდერია და ზოგადად ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. მის გარეშე პსჟ ისეთივე სუსტია, როგორც მესის გარეშე ბარსელონა, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ რეალმა მოგვიგო, – განაცხადა მარკო ვერატიმ. ვერატიმ ასევე აღნიშნა, რომ პსჟ-ში ბედნიერია და წასვლას არ აპირებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე, სასიძემ საპატარძლოს სახლში მიაკითხა. სასიდედრო მომავალ სიძეს ეკითხება:

– ვაშლი მიირთვი.

– არა, გმადლობთ, არ მინდა.

ამ დროს ქალიშვილი ეუბნება:

– დედა, მომაწოდე, მე მინდა.

– არა, შვილო, გაურეცხავია.

•••

ერთი ახლობელი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ცოლი ყოველდღე სექსს ითხოვს, მე კი ახალგაზრდა აღარ ვარ და ამდენი აღარ შემიძლია.

– ხომ გაფრთხილებდი, შეუხედავ ქალზე არ დაქორწინდე-თქო, რადგან არავის მოუნდება შენი დახმარება.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– თურმე მონღოლებს ასეთი წესი ჰქონიათ, როდესაც ოჯახში ბიჭი დაიბადება, მამა ხეს რგავს, მაგრამ თუ მისი შვილი უტვინო გამოვიდა, იმ ხეს ჭრიან.

– მონღოლეთში ნამყოფი ვარ.

– მერე!

– ხეს ვერ ნახავ, სულ უდაბნო და სტეპებია...

•••

ქმარი სახლში გვიან ღამით ნასვამი დაბრუნდა, კარი გააღო და ხედავს, ცოლი ტაფით ხელში დგას:

– წადი, დაიძინე, არ მშია.

•••

აფთიაქში მამაკაცი გამყიდველს თითქმის ყვირილით მიმართავს:

– ხუთი პრეზერვატივი მომეცით.

– ასე ნუ ღრიალებთ, თქვენს უკან ქალები დგანან.

კაცმა უკან მიიხედა და რიგში მდგომ ქალს მიმართა:

– გამარჯობა ლელა, რამდენი ხანია არ მინახიხარ.

შემდეგ გამყიდველს მიუბრუნდა და ეუბნება:

– ექვსი პრეზერვატივი მომეცით...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როგორია იდეალური ქალი?

– რომელიც გაჭმევს, გასმევს, ლოგინში ჩაგაწვენს... მაგრამ არ დაგაძინებს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

22 მარტიდან

180 ამბავი

ილია ჭავჭავაძე

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

29 მარტიდან

130 ამბავი

ლუდი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

იკერ კასილასმა შესაძლოა კარიერა საუდის არაბეთში გააგრძელოს

პორტოს ესპანელმა მეკარემ იკერ კასილასმა შესაძლოა კარიერა საუდის არაბეთში გააგრძელოს, სადაც მისი შეძენით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული.

კასილასი პორტოში არ არის პირველი მეკარე და ამის გამო მას გუნდიდან წასვლა სურს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს თავის კარიერას მადრიდის რეალის ყოფილი გოლკიპერი.

კასილასის შეძენა რამდენიმე ინგლისურ კლუბსაც სურს, მათ შორის ყველაზე მეტად ნიუკასლი აქტიურობს, რომლის მწვრთნელ რაფაელ ბენიტესს კასილასთან მეგობრული ურთიერთობა აქვს.

ალექსის სანჩესს მანჩესტერში ადაპტაცია უჭირს

ალექსის სანჩესი ჯერჯერობით ვერ აჩვენებს იმ თამაშს მანჩესტერში, რომელსაც გულშემატკივარი მისგან ელის. სანჩესის ტრანსფერისგან მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელები საკმაოდ ბევრს ელოდნენ, მაგრამ სანჩესი არ არის მოწოდების სიმაღლეზე. გავრცელდა ინფორმაცია რომ სანჩესს ადაპტაციის გავლა უჭირს და მას თითქმის არა აქვს ურთიერთობა თავის თანაგუნდელებთან. ალექსისი ხშირად მარტო ჯდება მანჩესტერის სასადილოში და არ ცდილობს, თანაგუნდელებთან კონტაქტი დაამყაროს, რაც მის თამაშზეც ცუდად აისახება.

ჯერჯერობით სანჩესმა მანჩესტერ იუნაიტედის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო.

იაპ სტამი რედინგიდან გაუშვეს

ყოფილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი იაპ სტამი, რომელიც ინგლისის მეორე დივიზიონის გუნდის რედინგის მწვრთნელი იყო, თანამდებობიდან გაათავისუფლეს ცუდი შედეგების გამო.

რედინგს ბოლო 18 თამაშში მხოლოდ 1 გამარჯვება აქვს და გასავარდნ ზონასთან ძალიან ახლოს.

სტამი რედინგის მწვრთნელი 2016 წელს გახდა და პირველი სეზონი მისთვის წარმატებული გამოდგა, მაგრამ წელს სტამმა ვერ მოახერხა კარგი შედეგის ჩვენება და ამიტომ ის გაათავისუფლეს.

ჯოსვორდი ა



შვეულად: 1. სამონასტრო კომპლექსი შიდა ქართლში; 2. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში; 3. ზუსტი ხელსაწყოების წარმოებაში გამოყენებული რკინისა და ნიკელის შენადნობი; 4. დაბა სიღნაღის რაიონში; 5. მსხვილი საკარმიდამო მამული არგენტინაში; 7. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში; 11. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 15. კუნთების სავარჯიშო, ხელის სატანვარჯიშო იარაღი; 16. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 17. ავტოდრომი იტალიაში; 18. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 20. მდინარე გურიაში; 22. ფულის ერთეული ალბანეთში.

თარაზულად: 6. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 8. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 9. წინასწარ დამუშავებული გეგმა; 10. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 12. დაბალი ხარისხის ალმასი; 13. ფულის ერთეული ჩინეთში; 14. გერმანული ბულდოგი; 19. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 21. შვედი გამომგონებელი, მრეწველი, საერთაშორისო პრემიის დამფუძნებელი; 23. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 24. სტადიონი მეხიკოში; 25. ნახევარკუნძული ჩრდილო ამერიკაში; 26. სახლის სხვენში მოწყობილი საცხოვრებელი სათავსო.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა